№ 2732
ხუთშაბათი,
3 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2732
ხუთშაბათი,
3 თებერვალი

ფასი დიდი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის რიცხვში)
ხუთშაბათს, 3 თებერვალს სვ. სვიმონიძის საბენეფისოდ ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ტფილისში ახალი პიესა
როზა ბერნდ
დრამა 5 მოქმ. გ. ჰაუპტმანისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. ბიერიძისა, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მზადდება წარმოსადგენად „რუი ბლაზი", „პეპელათა ბრძოლა" და სხვა. მორიგი რეჟისორი: ვ. გუნია.

სახლების მშენებელთა საყურადღებოდ
ახლად გამოგონებული „რევიზვილის" სისტემის თვითმიმზიდველი კარ-ფანჯრების საკეტი
შპინგალეტები
გამომგონს კანტორა მოსკოვსა და პეტერბურგში აქვს. კავკასიაში უმთავრესი წარმომადგენლობა აღებული აქვს და მსყიდველთ შეუძლიათ მიმართონ და ნიმუშები ნახონ: 1) ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან—ამხ. „კოლხიდა" და 2) ტფილისში—დავით პაატას ძე მაჭავარიანთან—სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის შენობის ეზოში, ტელეფონი № 885. (24—6)

დიდი ვაჭრობა
კავკასიის პირველი ამხანაგობა დამზადებულ ტანისამოსის ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.
რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ იაფი ვაჭრობა 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასები ულაპარაკოდ. (150—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ბ. გ. მაღლაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. [illegible].—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. დამაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი ი. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible]ო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
კ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2. ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სამკურნალოს აქვს ორი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ორს სამი მან. საზოგადო ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეექვსე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბებიშვილი
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და სა[illegible]) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—20).

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი გრასა № 12 „კრუჟოკის" გვერდით. (6.—26)

ექიმი
ი. ა. ბოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგანს, ნერვებისა და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—96)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 პუშკინის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—7)

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი
გადმოვიდა [illegible] ქუჩაზე წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—16)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—6½ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, ამოქალაქო საავადმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—27)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციული ბანკის სახლი. (60—403—27)

კბილებს
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. მ. იოხველი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—20)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—28)

ქუთაისში შუაგულ ქალაქში, საუკეთესო ქუჩაზე, სობოროს მახლობლათ იყიდება შემოსავლიანი მამული შენობით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სტეფანე ფეიქაროვის მაღაზიაში. (12—2).

ნამდვილი ცელულარული
◆ თესლი აბრეშუმისა ◆
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. კ. ზახარიადისა.
ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში ძმ. პასკალიდებისა აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰ[illegible] ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—6)

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—2)

აბაშაში გიორგი გიტოსძე ცომაიას სახლში იყიდება იაფათ და ხელ მისაწვდომ ფასში საუკეთესო ბაღდადის ჯიშის აბრეშუმის თესლი, როგორც თეთრი, ისე ყვითელი; ამასთან ვინც თესლს იყიდის, უსასყიდლოთ დაეთმობა ორმოცდა ათი ძირი ბჟოლის ნერგი. მსურველს თესლის უყიდლათაც შეუძლია ბჟოლის ნერგი შეიძინოს. (4—171—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 თებერვალი

ჰააგა. ბატავიიდან ტელეგრამით იუწყებიან, რომ გემები „ბოლგარია" და „სანდიფორტი", ჰამბურგში დაქირავებულნი და ნახშირით დატვირთულნი, კუნძულ სუმატრას მოვიდნენ, ლომპონგის ნავთსადგურში. ნეიტრალიტეტის წესის ძალით ეს გემები ადგილობრივმა მთავრობამ დაიჭირა და ისევ ბატავიას გაისტუმრა, სადაც მათზე დატვირთული ნახშირი საჯარო ვაჭრობით გაყიდეს. როგორც ფიქრობენ, ამ მენახშირე გემებს ბრძანება ჰქონდათ რუსის ესკადრისთვის მოეცადნათ.

სტამბოლი. სულთანმა სურვილი გამოსთქვა გენერალ-ადიუტანტის სტესელის ნახვისა.

ლონდონი. პეკინელ კორესპონდენტს გეიმსბაასი ჰქონდა რამდენსამე იაპონელთან. იაპონელებმა სთქვეს: გვეშინია, ზავზე ლაპარაკი რომ ჩამოვარდება, ზავის პირობებს რუსეთსა და იაპონიას შუა ვაი თუ საერთაშორისო კონგრესზე დაუწყონ გადათვალიერებაო. კორესპონდენტი უმატებს: მოვიგონოთ დღევანდელ ომის მიზეზი, რომლის სათავეც იმ დროდან იწყება, რა დროსაც ევროპა ჩაერია საქმეში იაპონელთა და ჩინელთა შორის ომის შემდეგ და, მაშინ ადვილად მიხვდებით იაპონელთა შიშს, თუ რა საქმეში მართალია და საერთაშორისო კონფერენცია ჩაერევა.

ლონდონი, 1 თებერვალი. გუშინ, საღამოს გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დიპლომატიური მიწერ-მოწერა გულის შემთხვევის გამო იმ დროისა, ვიდრე საერთაშორისო კომისია შესდგებოდა. ეს მიწერ-მოწერა ცხადად აჩვენებს, რომ ორივე მართველობის შორის საქმე ძრიელ გამწვავებული. ლანსდოუნი თურმე უცხადებდა რუსის მთავრობას, რომ მე პასუხს ვერ ვაგებ რას მოიწადინებს ინგლისის ხალხი და რა გუნებაზე დადგებაო. პირველში ლანსდოუნმა როესტვენსკის განმარტება გულის ინციდენტის შესახებ არც-კი მიიღო და პირდაპირ თხოულობდა დამნაშავე აფიცრების დასჯას.

ტულა. საგუბერნიო საერობო კრებაზე მოისმინეს მოხსენება ომში გაგზავნილ საერობო სასანიტარო რაზმის მოქმედების შესახებ, ერთხმად გულმხურვალე მადლობა გამოაცხადეს და კვლავ გადასდეს 50 ათასი მანეთი სასანიტარო რაზმის საჭიროებისათვის.

პარიზი. ანგარიშის წასაკითხად გულის საგამომძიებლო კომისია შეიკრიბება ათი დღის შემდეგ. დიპლომატიურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ კომისარები საქმეს გადასცემენ ჰააგის სამედიატორო სასამართლოს, სადაც უნდა გადასწყდეს მეთევზეთათვის ზარალის აღდგენა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 თებერვალი

სახეტუნი, 1 თებერვალი. ჩვენი მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ იაპონელთა საგერი ჯარი სდგას ხუნხესთან და ლიაიხესთან. (ცხენოსანი ჯარიც ჰყავთ. ჩვენი მზვერავი რაზმი სიაისანპის ახლოს გამოუდგა იაპონელთა მზვერავ რაზმს, მაგრამ მტრის მთელ ესკადრონს წააწყდა, საჩქაროდ უკანვე გამოაჰენა ჩვენმა ჯარმა ყოვლად უზარალოდ. შუაგულს ფრთისა იაპონელები ზარბაზნის სროლას აძრიელებენ. ხოხთხაის მთაზე მტერი მედგრად მუშაობს, ეტყობა, ძლიერ ზარბაზნებს სდგამს. მარცხენა ფრთაზე სრული სიწყნარეა. როგორც ეტყობა, იაპონელები დაგვშორდნენ. ჩვენმა ორი პოლკის ორკესტრმა კონცერტი გამართა წინა თხრილებში, იაპონელთა ახლოს. ამ დროს იაპონელებმა სროლა შეაჩერეს და დაგვძახეს: „ბარაქალა რუსებო"-ო.

ლონდონი. 1 თებერვალი. (ფუზანით) (რეიტერი). უკანასკნელ ორ კვირაში საშინელი სიცივეები იდგა, მერე კი მოთბა. თოვლი დნება. საზოგადოთ კი ამისთანა თბილ ზამთარს არ მოველოდით. როგორც ეტყობა, იაპონელებიც კარგად იტანენ ზამთარს, ისე როგორც რუსები. წინა სადარაჯოებზე, სადაც ცეცხლის ანთება აკრძალული იყო, ხალხი ძლიერ დაზარალდა ყინვებისაგან,—თითქმის ყოველ დღე ზარბაზნების სროლაა. ოიამას აცნობეს, რომ ამერიკელი გენერალი მაკარტური იაპონიის ჯარს შეუერთდებაო, როგორც სამხედრო წარმომადგენელი.

სახეტუნი. 1 თებერვალი. დღეს დილიდან მოყოლებული ზარბაზნების სროლაა მარჯვენა ფრთაზე და ცენტრში. დიდი შეტაკება არ ყოფილა-რა. ბევრს ადგილას იაპონელებმა თხრილების მუშაობა განაახლეს. გაყინულ მიწას ჯერ დინამიტით ააფეთქებენ და მერე დიდ ცეცხლს გააჩაღებენ ხოლმე მიწის მოსალბობლად. ამ ბოლო დროს იაპონელებმა გააძლიერეს მოქმედება ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ ერდაგოუს ახლოს. ხშირად გვხვდება ექვს დიუიმიანი ყუმბარები. მარცხენა ფრთის განაპირ იაპონელებს ცოტა მაშველი ჯარიც მოუვიდათ. დღეს დილით იაპონელთა ქვეითთა ჯარმა, 600 კაცამდე, იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციაზე ნანიშინთან მარჯვენა ფრთაზე. დილის ბრძოლის შემდეგ იერიში მოვიგერიეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ დაჭრილი აფიცერი და რამდენიმე ჯარის კაცი.

ტოკიო, 1 თებერვალი. ბრიტანელთა გემი „ისტრი", იაპონელთ რომ დაიჭირეს, სამხედრო სასამართლომ ხოკაიდოში გაანთავისუფლა, რადგან შეცდომით იყო გემი დაჭერილი.

ტოკიო, 1 თებერვალი. ჯარის მთავარ სადგურიდან იუწყებიან, რომ რუსებმა ორჯერ მოიტანეს იერიში ვაიტაშანზე 30 იანვარს, მაგრამ მოვიგერიეთო. რუსის ქვეითთა ჯარის პატარა რაზმმა იერიში მოიტანა ლაბოტაიზე 31 იანვარს, მაგრამ მოვიგერიეთ. რუსები თხრილებს აახლებენ ხეიგოუტაის მხრივ (რეიტერი).

ტოკიო, 1 თებერვალი. საზღვაო შტაბის ერთმა პირთაგანმა განაცხადა; „ხმა დადის, ვითომ მენახშირე გემებმა უარი განაცხადეს და ბალტიის ესკადრას აღარ გამოჰყვებიანო, მაგრამ იცოდნენ-კი, რომ ჩვენი გემების უფროსები სროლას დაუწყებენ და ზღვაში ჩასძირვენ ყველა იმ გემებს, რომელნიც ნახშირით იქნებიან დატვირთული რუსის ესკადრის საჭიროებისათვის და არც იმას დაუხედავთ, რა ეროვნებას ეკუთვნება მენახშირე გემი"-ო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა მდ. ხუნხეზე. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ბ. კლიმკოვი სწერს, სანდეპუსთან ბრძოლის დროს ერთი რუსის ბატარეია დიდ განსაცდელში ჩავარდა; იაპონელებმა მედგარი იერიში მოიტანეს ბატარეიაზე,—თითქმის 200 ნაბიჯზე მოუახლოვდნენ, თან ძალზე უშენდნენ ზარბაზნებს. ბატარეიის ახლო მდგომი რუსის რაზმი ძლიერ შეთხელდა. ბატარეიას თითონ არტილერისტები იცავდნენ. ყველა აფიცერი მოუკლეს და დაუჭრეს ბატარეიას; ბოლოს ერთი აფიცერი შტაბს-კაპიტანი სიდოროვი-ღა დარჩა. დაჭრილი კაპიტანი ლოკომსკი სუსტის ხმით შეევედრა ჯარს: დაიხსენით ვინმემ ბატარეია, სიდოროვს მოეხმარენით... ბოლოს, როგორც იყო, სიდოროვმა არტილერისტებისა და მსროლელთა დახმარებით ბატარეია პოზიციიდან წამოიღო.

გენ. კუროპატკინიც სწერდა თავის მოხსენებაში: იაპონელებმა ერთ ბატარეიას ჯვარედინად ზარბაზნები დაუშინეს და იერიშით წამოვიდნენ (ალბად, ბატარეიის აღება უნდოდათ), მაგრამ ამ დროს ერთი რუსის ცხენოსანი პოლკი თამამად გაქანდა წინ და იაპონელების ბატარეიაზე იერიში მიიტანა, იაპონელებმა რუსის ბატარეიას თავი დაანებეს და სულ ამ ცხენოსან პოლკს დაუშინეს თოფი და ზარბაზანი; ამ დროს ბატარეიას მაშველი ჯარი გაუგზავნეს და ამ ჯარის დახმარებით ბატარეიამ უკან დაიხია. ცხენოსან პოლკს, ეტყობა, თავი შეუწირავს ბატარეისათვის. ბატარეია-კი გადარჩა, მაგრამ ამ პოლკს, რასაკვირველია, დიდი ზარალი მოუვიდოდა.

„ბერლ. ტაგებლატ"-ს ატყობინებენ მუკდენიდან: ხუთის დღის ბრძოლის დროს სანდეპუსთანა და ხეგოუტაისთან რუსის საველე არტილერიამ იაპონელების სიმაგრეები ვერ დაანგრია. გაყინულ მიწის დასანგრევად მელინიტის ყუმბარები იხმარეს, მაგრამ ამნაირი ყუმბარა მეტად ცოტა ჰქონდათ რუსებს. ამას გარდა, რუსის ჯარის მოქმედებას 20 გრადუსიანი ყინვაც ძლიერ უშლიდა ხელსა. ექიმები იარებს ვერ უხვევდნენ დაჭრილებს, რადგან ხელის თითები ეყინებოდათ, დაჭრილები, თუ-კი იმ წამსვე არ მიჰყავდათ ბრძოლის ველიდან, იყინებოდნენ. ბევრი დაჭრილი გზაში იყინებოდა. („ო. ნ.").

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ბ. ობოლეშევი იუწყება: სანდიაპუდანა და ლანდუნგოუდან 9,439 დაჭრილი სალდათი და 267 აფიცერი მოიყვანეს მუკდენშიო. ამას გარდა მუკდენზე—101 ავადმყოფი აფიცერი და 3 ათასი სალდათი გაატარესო.

გენ. ოკუ სწერს თავის მოხსენებაში: რუსები უმთავრესად იმიტომ დამარცხდნენ, რომ მარტო სანდეპუზე მიიტანეს იერიში, სხვა ადგილებში-კი უძრავად იდგნენ, არსად იერიში არ მიიტანეს და იაპონელები არ შეაწუხესო. „ნ. ფრ. პრესე"-ს სამხედრო მიმომხილველი ამბობს: ეს მართლა დიდი შეცდომა იყო, რადგან იაპონელებმა ამ შეცდომის წყალობით დიდი ჯარი შეყარეს სანდეპუსთანა და ხეგოუტაისთან და რუსები ძალზე დაამარცხესო. („ო. ნ.").

იაპონელები ბრძოლის დროს, ეტყობა, სრულებით არა სწრაფობენ და მძიმედ, გონივრულად იქცევიან, როგორც ნამდვილი მეომარს შეჰფერის. ბ. გარინი სწერს: რუსები რომ ზარბაზნისა და თოფის სროლას დაუწყებენ ხოლმე, იაპონელები პირველად თითქმის ხმას არა სცემენ, სიმაგრეების პირველ რიგსაც-კი აღებინებენ და მერე-კი მარჯვედ, გულ-და-გულ სროლას დაუწყებენ ხოლმეო. („რ. ს.").

გენ. კუროპატკინი. ბოლოს დროს ბეჯითად ლაპარაკობენ, იქნება რუსის არმიის მთავარ-სარდალი გენ. კუროპატკინი თავის თანამდებობიდან გადააყენონ და რუსეთში დააბრუნონო. „მატენ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: პეტერბურგში ხმა დადის, გენ. კუროპატკინსა და იმის ხელ-ქვეით გენერლებს უთანხმოება მოსვლიათო. ბეჯითად ლაპარაკობენ, თითონ მთავარ-სარდალს ჰსურს სამსახურიდან გადადგომაო· ვითომ იმის მაგივრად მთავარ-სარდლად მანჯურიაში სამხედრო მინისტრი გენ. სახაროვი დაინიშნება და იმის ადგილას საერო განათლების მინისტრი გლაზოვი დაინიშნებაო. („ს.").

ამ ბოლოს დროს ბევრნი აუჩივლდნენ გენ. კუროპატკინს. რუსული გაზ. „სლოვო" პირდაპირ თხოულობს გენ. კუროპატკინის გადაყენებას. რუსის არმიის მთავარ-სარდალს თვით იმისი ერთგული მომხრე და თაყვანის-მცემელი გერმანელი პოლკოვნიკი გედკეც გადუდგა. გედკე სასტიკად არჩევს „ბერლინერ ტაგებლატ"-ში გენ. კუროპატკინის სამხედრო მოქმედებას და ამტკიცებს, რომ გენ. კუროპატკინი მეტად მამაცი და პატიოსანი კაცია, მაგრამ სარდლის გამჭრიახობა და მტკიცე ხასიათი არა აქვს და ნამეტანი ფრთხილი კაციაო. გენ. კუროპატკინის გადაყენება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს რუსის არმიასაო. უკანასკნელი გალაშქრება გედკესაც დიდ შეცდომად მიაჩნია. გედკეს, სხვათა შორის, ისიც ძლიერ უკვირს, რომ გენ. კუროპატკინის მოხსენებაში ეწერა, იაპონელებს უნდომლად, გაუბედავად მოჰქონდათ რუსის არმიაზე იერიშიო. ალბად, გედკეს აზრით, უნდომლობა და გაუბედაობა რუსის არმიას უფრო ეკიდება, ვიდრე იაპონიისას. („ო. ნ.").

ხმები ზავზე. „დეილი ქრონიკლ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: ეჭვი არაა, რომ რუსეთი და იაპონია მალე ჩამოაგდებენ ზავსა. თვით გენ. კუროპატკინის გადაყენებასაც-კი კავშირი აქვს ზავის ჩამოგდებასთან. რუსეთის წარმომადგენლებს პარიზში დეპეშით მისწერეს, ეცადეთო, რომ ინგლისმა დახმარება გაუწიოს რუსეთს და იაპონიასთან საპატიო პირობით ზავი ჩამოაგდებინოსო. („ბ. ვ.").

სხვა გაზეთებიც იუწყებიან, იქნება რუსეთი და იაპონია მალე შერიგდნენო. „ნ. ფ. პრესე"-ს არა სჯერა ეს ცნობები, ყოველ ბრძოლის შემდეგ ავრცელებდნენ ასეთს ცნობებს, მაგრამ აქამდე არც ერთი ცნობა არ გამართლდაო.

[illegible] ტაგებლატ"-ის კორესპონდენტისათვის: „იაპონია, რაც უნდა ძლიერ ჰსურდეს შერიგება, პირველი მაინც ვერას დროს ვერ ჩამოაგდებს ზავზე ლაპარაკს. იმიტომ კი არა, რომ აქამდე ყველა ბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა. არა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეხლანდელ ომში იაპონია თავის თავს იცავს და ეს ომი რუსეთის პოლიტიკამ გამოიწვია. ინგლისმა კარგად იცის, თუ რა ძლიერ გვინდოდა ამ ომის თავიდან აცილება და რა ბევრი რამ დავუთმეთ რუსეთს, ასე რომ ზავზე ლაპარაკი პირველად რუსეთმა უნდა ჩამოაგდოს. მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ პეტერბურგში ომის განგრძობა სწადიანთ იმ დრომდე, ვიდრე იაპონიას არ დაამარცხებენ. რუსეთის ერთი ესკადრა მადაგასკართან დადის, მეორე ესკადრა ლიბავაში მზადდება, მანჯურიაში ყოველდღე ახალ-ახალ ჯარსა ჰგზავნიან, პარიზში ბეჯითი მოლაპარაკება აქვთ გამართული ახალ სამხედრო სესხზე. ამიტომ იაპონიამაც თავის თავის დაცვა უნდა განაგრძოს". („ო. ნ.").

გერმანია და რუსეთი. „პტი პარიზიენ"-ის კორესპონდენტს პეტერბურგში ერთს მეტად გავლენიან რუსთან ომის გათავებაზე უსაუბრნია. ამ პირს სწორედ იგივე აზრი გამოუთქვამს, რაც ამას წინად სტატს-სეკრეტარს ვიტეს გამოეთქვა. ამბობენ, ვითომ სტატს-სეკრეტარს ვიტეს მოეხსენებინოს რუსეთის იმპერატორისათვის: როდესაც იაპონიაში სავაჭრო ხელშეკრულობის [illegible] ვიყავ, იაპონიის ელჩმა გაიაშიმ სურვილი გამოსთქვა, მზადა ვარ, რუსეთის წარმომადგენელთან ზავზე მოლაპარაკება გავმართოო. სტატს-სეკრეტარს ვიტეს უთქვამს, რუსეთის წარმომადგენლად მე დამნიშნეთ, იმედი მაქვს, სამ ოთხ-ოთხ კვირაში საპატიო ზავს ჩამოვაგდებ იაპონიასთანაო, მაგრამ ვიტესათვის იმპერატორ ვილჰელმის გავლენით პასუხიც არ უღირსებიათ. ვილჰელმი ბეჯითად ურჩევდა რუსეთს, მედგრად განაგრძეთ ომი, ბოლოს რუსეთი უსათუოდ ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოვაო. გერმანიას რუსეთის დასუსტება სწადიან, რომ ევროპაში უფრო თამამად იბატონოს. რუსეთის დასუსტება ნამდვილი გამარჯვება იქნება გერმანიის დიპლომატიისათვის და გერმანიის გაძლიერებას ხელს შეუწყობს. („ს.").

ეროვნება

კაცობრიობის ისტორია ემორჩილება იმგვარსავე შეურყეველს კანონებს, როგორც ბუნება. კაცობრიობის განვითარებას აქვს თავისი გზა, რომელსაც იგი ვერასოდეს ვერ გადასცდება. განვითარების კანონს ემორჩილება როგორც ერთი ადამიანი, ისე მეორე ადამიანი, როგორც ერთი საზოგადოება და ერი, ისე მეორე ერი და საზოგადოება. ამის უარყოფა შეიძლება, თუ უარვყოფთ თვით ცხოვრებას. მაგრამ რადგან კაცობრიობის მოსპობას ვერ წარმოიდგენს თვით უკიდურესი მტერი კაცობრიობისა, ამიტომ ვერც ვერავინ შეაჩერებს განვითარებას და ვერც შეცვლის იმ გზას, რომლითაც სწარმოებს განვითარება.

უდიდესი და შეურყეველი ისტორიული კანონი, რომელიც შეადგენს კაცობრიობის განვითარების არსებას, არის ის, რომ ყოველი ადამიანი ეკუთვნის მხოლოდ თავის თავს, თვითონ არის თავისი ბატონი, თვითონ არის საგანი თავის თავისა, იგი არ არის გაჩენილი სხვისთვის, არ არის იარაღი და საშუალება სხვისი კეთილ დღეობისათვის, არამედ ყოველივე მისი მოქმედების მიზანი არის თვითონ, მისი პიროვნება. ერთის ადამიანის პიროვნებას აქვს იმგვარივე ფასი, როგორც მეორე ადამიანისას. ადამიანები თანასწორნი არიან. არ არიან მონები და მეუფენი, ყმები და ბატონები, მუშები და პატრონები, არამედ არიან ადამიანები—თანასწორნი, ერთნაირის უფლებით და მოვალეობით, ერთნაირის ღირსებით და ნაკლულევანებით. ამისკენ მიდის კაცობრიობა დასაბამიდან, ეს არის მისი მისწრაფების საგანი, ეს არის ისტორიის კანონი და უფრო მთელი კაცობრიობა და ქვეყნიერება მოისპობოდა, ვიდრე შეიცვლებოდა ეს კანონი.

ამ კანონისაგან განუშორებელია მეორე დიადი ისტორიული კანონი—თანასწორობა ერთა. არ არიან ერნი უფრო კეთილშობილნი, არამედ ყველანი ერთნაირად გაჩენილნი არიან თავისუფლებისა, სამართლიანობისა და ადამიანურის ცხოვრებისათვის. არ არის ერი თავადი, როგორც არ არის ერი გლეხი, არ არის ერი ბატონი, როგორც არ არის ერი ყმა. როგორც შეურყეველი კანონია თანასწორობა ადამიანთა, ისე შეურყეველია თანასწორობა ერთა. სადაც არის ერთი თანასწორობა, იქ არის მეორე თანასწორობა. ერთა თანასწორობა პირდაპირი შედეგია ადამიანთა თანასწორობისა და ვინც უარყოფს ერების თანასწო- [illegible] წორობასაც. ყოველი ერი ეკუთვნის მხოლოდ თავის თავს, თვითონ არის თავისი ბატონი, თვითონ არის საგანი თავის ცხოვრებისა და არა ყმა და იარაღი სხვა ერისთვის. თუ თანასწორობა უფლებისა, კანონისა, გაჭირვებისა, დალხინებისა, მუშაობისა და მოსვენებისა—არის აუცილებელი პირობა კაცობრიობის განვითარებისათვის, ამგვარადვე აუცილებელი კანონია ერთა თანასწორობა. თუ თავისუფალია, უფლებიანი ადამიანი ინდივიდი, თავისუფალია და უფლებიანი ადამიანთა საზოგადოება, კოლექტიური ინდივიდი, ერი. ერთი უმეოროდ შეუძლებელია.

ყოველი ადამიანი და ერი თავის თავის ბატონია. ამას უნდა დავუმატოთ: ყოველი ადამიანი, ყოველი ერი არის თავის თავის პატრონი. ვამბობთ, დავუმატოთ, თუმცა ეს თავისთავადაც იგულისხმირება და სადაც ბატონობაა, იქ პატრონობაცაა. ადამიანები თანასწორნი არიან, ყოველი ადამიანი თვითონ არის თავის ბატონი, აქედან თავისთავად ცხადია, რომ ყოველი ადამიანი თვითონ უნდა იყოს თავის პატრონი, გამგებელი, მომვლელი. ადამიანს არ შეუძლია იგრძნოს და წარმოიდგინოს სხვისი გაჭირვება, შევიწროვება, მწუხარება ისე, როგორც იგრძნობს თვითონ გაჭირვებული და შევიწროვებული. ერთს ადამიანს არ შეუძლია მოიქმედოს მეორესთვის, რასაც მოიქმედებს თავისთვის. ყოველმა ადამიანმა თვითონ უკეთ იცის თავისი საჭიროებანი, თვითონ უკეთ და ნაყოფიერად იმუშავებს თავისთვის, ვიდრე სხვა. მაგრამ არამცთუ შეუძლებელია დაკმაყოფილება რომელისამე საჭიროებისა გარეშე პირების შემწეობით, დაინტერესებულ ადამიანების მოღვაწეობას, როდესაც ისინი თვითონ მოქმედებენ თავისთვის, თვითონ განაგებენ თავიანთ საქმეებს,—ასეთ მოღვაწეობას, თვითმოქმედებას კიდევ ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ავითარებს ადამიანს გონებრივად და ამით უფრო აადვილებს ყოველისავე საჭიროების დაკმაყოფილებას. ნიჭი ვითარდება იმდენად, რამდენად იგი ვარჯიშობს, მოქმედობს, მაგრამ როგორღა განვითარდება ნიჭი, როდესაც ადამიანისათვის სხვამ უნდა „იზრუნოს", „იმოქმედოს" და თვითონ ამ ადამიანს კი აკრძალული აქვს თავისთვის ზრუნვა და მოქმედება.

სრულიად ამგვარსავე მდგომარეობაშია ყოველივე საზოგადოება ადამიანთა და განსაკუთრებით ერი. თუ ერნი თანასწორნი არიან, აშკარაა, რომ ყოველი ერი უნდა იყოს თვით-მოქმედი, თვითონ უნდა იყოს თავის პატრონი და გამგებელი. უამისოდ შეუძლებელია მისი განვითარება, მისი ადამიანური არსებობა. გარეშე ერს არ ძალუძს მოაწყოს რომელსამე ერის ცხოვრება. როდესაც ერს განაგებს სხვა ერი, ასეთ დამორჩილებულ ერის ძალა და ნიჭი, ქონება, კეთილდღეობა შეწირულია სხვებისათვის, უცხოელებისათვის; მისი არავის ესმის და არც უნდათ, რომ ესმოდეთ. მის შიმშილს არა ჰგრძნობენ და არც აქცევენ ყურადღებას: იგი რომ უმეცრების მორევში იხრჩობოდეს, ხელს არ გაუწვდიან მისაშველებლად; ავადმყოფობა რომ ჰკლავდეს, გაუღიმებენ მხოლოდ. „არა გვაქვს დრო, არა გვყავს კაცები, არა გვაქვს ფულიო, აი მოკლე და ცივი პასუხი მის ტკივილსა და გაჭირვებაზე, იგი მონაა, რომელსაც იმსახურებენ, მაგრამ რომელსაც არ ემსახურებიან.

ეს ჭეშმარიტება—რომ თანასწორობა ადამიანებისა განუშორებელია ერთა თანასწორობისაგან—კარგად ესმოდათ საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწეებს, რომელთაც თავი დასდეს ადამიანთა უფლებათა და თანასწორობისათვის. ფილოსოფოსი ვოლნე სწერდა, კაცობრიობა წარმოადგენს ერთს საზოგადოებას; ამ საზოგადოების წევრებს—ერებს იმგვარივე ბუნებრივი უფლებები აქვთ და ემორჩილებიან სამართლიანობის იმგვარსავე კანონებს, როგორც ცალკე ინდივიდები, ადამიანები ამა თუ იმ საზოგადოებაში.— კონდორსემ ასეთი მოწოდებით მიჰმართა ფრანგებს: „საფრანგეთის ერი ყოველთვის პატივსა სცემს სხვა ერთა უფლებებს. იგი არ მიჰმართავს ძალ-მომრეობას, არც ვერაგობას, რომ რომელსამე ერს ძალად დაუტოვოს მმართველი და კანონები, რომლებიც თვითონ ამ ერს არ უნდა". კარნო ამბობდა: „ყოველი ერის წმინდა უფლებაა, უნდა იცხოვროს ცალკე, უნდა შეუერთდეს სხვა ერებს. ჩვენ აღვიარებთ ძმობას და არა ბატონობას; ჩვენთვის დედამიწაზე ცხოვრობენ იმნაირივე ადამიანები, როგორიცა ვართ ჩვენ თვითონ". 1795 წელს გრეგუარმა წაიკითხა კონვენტის კრებაზე: „ყოველი ერი დამოუკიდებელია და თვითონ არის თავისი ბატონი და გამგებელი, რაც უნდა მცირე რიცხვოვანი იყოს და რაც უნდა პატარა იყოს მისი ტერიტორია... ერთს ერს არ შეუძლია გაერიოს სხვა ერის საქმეებსა და მმართველობაში". ასეთს აზრს ქადაგებდა დიდებული მებრძოლი თავისუფლებისათვის—რობესპიერი, რომელმაც გამოაცხადა: „ვინც ეომება ერს, რათა შეაჩეროს თავისუფლების განვითარება და მოსპოს ადამიანის უფლებანი, იმას უნდა ვსდევნიდეთ, როგორც მკვლელს და ავაზაკს... ვინც სჩაგრავს ერთს ერს, ის მტერია ყველა ერებისა"...

თავისუფალნი, თანასწორნი და თვითმოქმედნი ადამიანები, თავისუფალნი, თანასწორნი და თვითმოქმედნი ერები,—კაცობრიობას არა ჰყავს სხვა წევრები. ცხოვრება, განვითარება და მოქმედება ისტორიაში შეუძლიათ მარტო და მარტო ასეთს ადამიანებს და წევრებს. სრული თანასწორობა ადამიანთა, სრული თანასწორობა ერთა. თვითმოქმედება ადამიანთა, თვითმოქმედება და თვითმმართველობა ერთა, ეროვნული მმართველობა—ეს არის ერთად ერთი გზა ისტორიული ცხოვრებისა და ამ გზას ვერ გადაუხვევს ვერავინ, ვისაც კი ცხოვრება უნდა.

კალამი.

ცხოვრება და სამართალი

3.

(დასასრული *)

„რუს. ვედ." როგორც მთელს რუსეთში, ისე ვენში ცნობილია რუსის ლიბერალურ წრეების სერიოზულ ორგანოდ, ის ყოველთვის მედგრად ესარჩლება თვითმოქმედების და სამართლიანობის პრინციპების დამყარებას მმართველობაში და, თუ რომელსამე რუსეთის გაზეთს დაუმსახურებია ქართველის საზოგადოების სიმპატია და სიყვარული, ამ მხრივ „რუსკ. ვედ." სხვა არც ერთ გაზეთს არ ჩამოუვარდება. მაგრამ ამ გაზეთმაც-კი რვა იანვარს ის აზრი გამოსთქვა, რომ ამიერ-კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა შემოღება ნაადრევიაო. „რუსკ. ვედ."-ის აზრით, პოლონეთში ნაფიც მსაჯულთა შემოღება და ამ სასამართლოში საქმის წარმოება პოლონურს ენაზე სამართლიანობაც იქნება და პოლიტიკური სიბრძნეც, ამიერ-კავკასიაში კი, როგორცა სჩანს, უსამართლობაც იქნება და პოლიტიკურ სიბრძნის უქონლობაც.

რაც შეეხება პოლიტიკურ სიბრძნეს, სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ რუსის ლიბერალური გაზეთი მართალია. დღემდე ქართველს ერს არც ამბოხება რამ მოუხთინია და არც რომისმე ხმა-მაღლა უთქვამს, მე მსურს, რომ სასამართლოში ჩემს სამშობლო ენაზე შემეძლოს ჩემის ინტერესების დაცვა და გასამართლებაო; პოლიტიკური სიბრძნეო, რუსის გაზეთი რომ ამბობს, სწორედ ამ გარემოებას ჰგულისხმობს: ამ გაზეთის წარმოდგენით ქართველი და ყველა სხვა ამიერ-კავკასიაში მცხოვრები ერი ყურმოჭრილი, დამონავებული, უსიტყვო ხალხია და, სასამართლო უვარგისიც რომ ჰქონდეს, რა უშავს, სულ ერთია, ხმასაც-კი ვერ ამოიღებს და ისე წყნარად შეურიგდება თავის ბედს, რომ ვერც არავინ ვერ შეიტყოს მათი უმადურობაო. აქედან ერთად ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: რუსის ლიბერალების აზრით, კულტურული დაწესებულებები და ეროვნულის თვითმოქმედების ნიადაგი მხოლოდ იმ არა რუსის ტომს უნდა მიენიჭოს, რომელსაც ყვირილი შეუძლიან, არეულობის მოხდენისა და ამბოხების გამართვის შნო აქვსო. ქართველებს დღემდე ერთხელაც-კი ვერ გაუბედნიათ უწესოების მოხდენით უკმაყოფილების გამოცხადება და ამიტომ „რუს. ვედ." ამ მხრივ მართალია. პოლიტიკური სიბრძნე არა სთხოვს რუსეთს, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოიღოს და სასამართლოში საქმის წარმოება ადგილობრივს ენაზე სავალდებულოდ სცნოს.

გაზეთმა „რუს. ვედ." კარგად იცის, რომ რეფორმების საქმეში ისეთის მოსაზრებით ხელმძღვანელობა, როგორიც პოლიტიკური სიბრძნეა, ორთავიან ჯოხს წარმოადგენს და ამიტომ ამ მთავარს საბუთს სცდილობს იგი სხვა საბუთებიც ზედ დაურთოს. კავკასიაში ბევრი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს, მაგრამ არც ერთი ენა კი არ არის იქ საყოველთაო ფაქტიურად და ამიტომ მოუხერხებელია ადგილობრივს ენაზე სასამართლოში საქმის წარმოებაო. ჩვენ, ვინც კავკასიაში ცხოვრობთ, ვიცით, რომ ეს საბუთი ყალბს საფუძველზეა დამყარებული, ვიცით, რომ კავკასია რამდენიმე რაიონად იყოფა ენის მხრივ და თითოეულს რაიონში ერთი რომელიმე ენა ბატონობს, მაგრამ „რუსკ. ვედ."-ი ამ გარემოებას ვერა ჰხედავს, ვერა ჰხედავს იმიტომ, რომ ეს იმისთვის ხელსაყრელი არ არის. მთელ ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითად, ერთად ერთი ქართული ენა ისმის და ეხლაც კი იქ მხოლოდ ერთი ოლქის სასამართლო ჰმოქმედობს; რამ უნდა დაუშალოს ამ სასამართლოში ქართულს ენაზე საქმის წარმოებას—რა თქმა უნდა, თუ დაუშლის რამე, ისევ პოლიტიკური სიბრძნე და არა ენათა სიმრავლე. ტფილისის გუბერნია, ბორჩალოს მაზრის ნაწილის გარდა, მთლად ქართულად ლაპარაკობს, მაშასადამე არც აქ წარმოადგენს ენათა სიმრავლე დაუძლეველს დაბრკოლებას, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ერთის არაკიდან მგლის სიტყვები: დამნაშავე ხარ, იმიტომ მხოლოდ, რომ მე მშიანო.

მეორე საბუთი, რომელიც გაზეთს „რუს. ვედ."-ს მოჰყავს ამიერ კავკასიის წინააღმდეგ, ის არის, რომ ადგილობრივ მკვიდრთა უფლებრივი წარმოდგენები თვალსაჩინოდ განსხვავდებიან იმ შეხედულებათაგან, რომლებიც საერთოდ ყველა კულტურულ ერებისაგან მიღებულიაო. რუსის ლიბერალური გაზეთი ამ ზოგად აზრის განმარტებას, ფრჩხილების გახსნას და იმ კულტურულ უფლებრივ წარმოდგენათა დასახელებას, რომელიც კავკასიის ერებს აკლიათ, საჭიროდ არა სცნობს, და სრულიად საკმარისად მიაჩნია თავისი საერთოდ ნათქვამი სიტყვა. დავანებოთ თავი იმას, რომ ეს შეურაცხყოფა რამდენიმე ერისა, დაუსაბუთებლად და დაუმტკიცებლად, არ შეჰფერის არც ერთს გაზეთს, მით უმეტეს სერიოზულ „რუს. ვედ."-ს, ნურც იმას გამოვეკიდებით, რომ დაწუნებული და უვარგისი ფორმა სასამართლოსი უფრო დაარღვევს უფლებრივ წარმოდგენებს, როგორც არღვევდა დღემდე, და სრულიად ვერ ემსახურება კანონიერების გრძნობის განმტკიცებას ხალხში, დავანებოთ ყველა ამას თავი და ვიკითხოთ: თუ დღეს რუსეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველა სისხლის-სამართლის საქმეს არ იხილავს და ზოგიერთი გვარის საქმე გამოტოვებულთა იმის იურისდიქციიდან, რად უნდა იყოს შეუძლებელი კავკასიის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმ გვარი საქმეები მაინც დაექვემდებაროს, რომელთა შესახებ ადგილობრივს ერებს ისეთივე უფლებრივი წარმოდგენა აქვთ, როგორც სხვა კულტურულ ერებს? თუ „რუს. ვედ." ჰგონია, მაგ., რომ ამიერ კავკასიის მკვიდრთა წარმოდგენით ყაჩაღობა დანაშაულობა არ არის, დეე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ნუ გაარჩევს ამისთანა საქმეებს; მაგრამ იმას ხომ ვერავინ იტყვის, რომ კავკასიის ხალხის უფლებრივი წარმოდგენები ყველაფერში ეწინააღმდეგებოდნენ კულტურულ ხალხთა წარმოდგენებს... კავკასიის ერებს და მათ შორის განსაკუთრებით ქართველებს თავისი კულტურული წარსული აქვთ, რომლითაც სამართლიანად შეუძლიანთ იამაყონ; რუსეთის მმართველობის დამკვიდრებამდე ჩვენს ქვეყანას თავისი სასამართლო ჰქონდა და ამ სასამართლოში ხელმძღვანელობდნენ განსაზღვრულის სისხლის-სამართლის კანონებით. გადაშინჯეთ ეს კანონები და დაინახავთ, რომ ჯერ კიდევ ამ ასის წლის წინად თავის უფლებრივის წარმოდგენებით ქართველი ერი კულტურული ერი იყო... დიახ, ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ჩვენ მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ პოლიტიკური სიბრძნე ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე კულტურული საბუთები.

ამ ორმოცის წლის წინად, როდესაც საქართველოში პირველად შემოიღეს ახალი სამოსამართლო დაწესებულებები, ოფიციალურ რუსეთის წარმომადგენლებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამიერ კავკასიისთვის ნაადრევად სცნეს; დღეს ასევე ნაადრევად მიაჩნია ის ჩვენთვის რუსეთის ლიბერალიზმის სერიოზულ ორგანოს. დიდად საინტერესოა, რომ ამ „ნაადრევობის" საბუთებად დღესაც და მაშინაც ერთსა და იმავე გარემოებას ასახელებენ. იგივე ტომთა სიმრავლე, ენათა სხვადასხვაობა და უფლებრივ წარმოდგენათა უქონლობა. (იხილე Объсн. Запис. къ проекту полож. о примѣн. суд. уст. къ Закав.; გვ. 23 და 24). მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი საბუთებია, ნამდვილი მიზეზი კი მარტოოდენ პოლიტიკური სიბრძნეა. როგორც ქართულს სკოლაში ნაადრევია ქართულის ენის სწავლა პოლიტიკურის სიბრძნისა გამო, ასევე ნაადრევია ჩვენთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და იმ დრომდე იქნება ნაადრევი, ვიდრე ჩვენი ერი მშვიდობიანად იქნება გაჩუმებული და წყნარად ატარებს თავის ცხოვრების დღევანდელს მძიმე უღელს.

გ. რ.

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2731.

ახალი ამბავი

✦ კვირას, 30 იანვარს, და ოთხშაბათს, 2 თებერვალს, ადგილობრივ ნაფიც ვექილებს და მათ თანაშემწეებს ჰქონდათ კრება ტფილისში **23 იანვარს მომხდარ ამბების** გამო მოსალაპარაკებლად. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, დახმარება აღმოუჩინოს ამ დღეს დაშავებულთ.

✦ **ტფილისში განუზრახავთ „რუსკოე სობრანიე"-ს** განყოფილების დაარსება. ჩვენ მკითხველებს, ეჭვი არ არის, მოეხსენებათ, რა არის და რას ემსახურება „რუსკოე სობრანიე". ერთხანად ამ საზოგადოების სულის ჩამდგმელი ცნობილი ველიჩკო იყო. წესდება საზოგადოების განყოფილებისა უკვე შეუმუშავებიათ და გაუგზავნიათ პეტერბურგში დასამტკიცებლად. წესდებაზე **ხელი** უწერია 25 კაცს.

✦ როგორც ნამდვილად გავიგეთ, **ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლას** მიუღია ნებართვა, გახსნას უფროსი, საგიმნაზიო კლასები.

✦ დღეს, 3 თებერვალს, სრულდება 25 **წელიწადი**, რაც დაარსდა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა. დღესასწაული ამ იუბილეს შესახებ გადადებულ იქნა შემდეგისათვის.

✦ როგორც გვატყობინებენ, იმერეთის ეპარქიაში სოფ. სორში ვიღაც უცნობებს **გაუტეხიათ ჯვარცმის ეკლესია** და რაც ძვირფასი ნივთები და ფული ყოფილა, წაუღიათ. ქურდები ვერ დაუჭერიათ.

ფელეტონი

ქუთათურ საქმეების გამო

„მონასტერი ვარიაო", რომ იტყვიან, სწორედ ამგვარ წარმოადგენს დღეს ქუთაისის საზოგადოების ერთი ნაწილი. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან დღემდე მეტად უბრალო, მარტივის საზომით ზომავდნენ ქუთაისში ყოველივეს: ერთის მხრით ხედავდნენ კალისტრატე ჩიქვაძეს და „ბრბოს", მეორეს მხრით—კირილე ლორთქიფანიძეს და ინტელიგენციას. ის კაცი, ვინც ჩიქვაძისკენ იყო, ანუ ის საქმე, სადაც ჩიქვაძე ერია, სრულიად უვარგისად ითვლებოდა, ხოლო ის პირი ანუ ის საქმე, საითკენაც კირილე იყო, ყოვლად სანაქებოდ მიაჩნდათ. შეიძლება, ამას თავის დროზე საფუძველიც ჰქონდა, მაგრამ დღეს აღმოჩნდა, რომ თავ. კირილეს მოქმედებაშიაც შესაძლებელი ყოფილა დიდი—ასე ვსთქვათ ჯერ—შეცდომები. დღეს ისიც გადააყენეს საზოგადო საქმის მართვისაგან, და ამ გადაყენებაში მონაწილეობა მიიღეს თვით იმის მომხრეებმაც.

ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი საურთიერთო ბანკის ისტორია არევ-დარევდა საზოგადოებას; მაგრამ ის კი არ გვეგონა, თუ ისინიც ვერ გაიგებდნენ სულ უბრალო მოვლენას, ვისგანაც სხვა მსჯელობა იყო მოსალოდნელი. „ჭაბუკმა ინტელიგენტებმა ძალ-მომრეობა გაბატონესო"—გაიძახის ბ-ნი გოდ. გ—ძე *). „კალისტრატიზმი აღსდგაო",—სწუხს ბ-ნი კიტა აბაშიძე **).

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ გოდ. გ—ძეს იმის შესახებ, რომ ყოველ ისეთ დაწესებულებას, როგორიც ქუთაისის ბანკია, დიდი საზოგადო და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ იქ, სადაც პოლიტიკურ მონობის გამო ყოველი თვით-მოქმედება დახშულია, ის მაინც უნდა გავაკეთოთ, იმაში მაინც უნდა გავიწაფოთ, რაც ვიწროდ გვაქვს შემოფარგლული. თუ კი ჩვენ, მთელი ქუთაისის საზოგადოება, ისეთ პატარა და სადა საქმეს ვერ მოვუვლით, როგორიც საურთიერთო ნდობის ბანკია, მოდით, ეს მიბძანეთ, მაღალ ფარდებში ფრენა რა ჩვენი საქმე იქნება, ერობისა და ფართო თავისუფლების მოთხოვნის დროს რა გასამართლებელი საბუთი გვექნება?

ამიტომ საჭიროა, ჩვენ თვითონ გამოვარკვიოთ საზოგადო საქმის შეფერხების მიზეზები, და მაშინ ცხადი შეიქნება, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით წარსულში და როგორ უნდა ვიმოქმედოთ მომავალში, თუ გვინდა, რომ ჩვენს საქმეს თვითონ ჩვენ მოვუაროთ და მუდამ უცხოელ ოპეკუნების პირში მაცქერალნი არ ვიყვნეთ.

აი, ეს გარემოება და ცალკე ისიც, რომ ჩვენსკენ მომართული საყვედური ყოვლად უსამართლოდ მიგვაჩნია, გვაიძულებს მოკლედ გავაცნოთ მკითხველს ის, რაც ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში ამ ბოლო დროს მოხდა, მით უმეტეს, რომ ბ-ნ გოდ. გ—ძის წერილებში უმთავრესი ფაქტები სინამდვილით არ იყო მოყვანილი.

როდესაც ქუთაისში, ერთი წლის წინად, აზოვ-დონის ბანკი გაიხსნა, სხვა ქალაქების ბანკებმა, რომელთაც აქამდე საურთიერთო ნდობის საზოგადოებასთან ჰქონდათ საქმე, ყველამ ერთბაშად აზოვ-დონის ბანკს მიჰმართეს და იმას მიანდეს თავისი საქმეები: ფულის მიღება, გაცემა, თამასუქების პროტესტი და სხვა. ამის გამო ის დიდი ფული, რომელიც ჩვენს ბანკში ტრიალებდა, სულ ახალ ბანკში გადავიდა. გარდა ამისა, რადგან აზოვ-დონის ბანკში დროებით უფრო იაფად იძლეოდნენ ფულს, ხალხის მისატყუებლად, ქუთაისის ვაჭრებმაც იმას მიაშურეს, და რაც ფული ჩვენს ბანკში ჰქონდათ შენახული, იქ გადიტანეს, რათა და მეტი კრედიტი გვექნებაო. ამ გარემოებამ მხოლოდ დააჩქარა ჩვენი ბანკის შეფერხება, თორემ ნამდვილი მიზეზი სულ სხვა იყო: როდესაც 1900 წელს გამგეობამ სხვისი ფული ჩაჰყარა შავ-ქვაში, იმ ფულიდან ნახევარ მილიონამდე დაუბრუნებელი დარჩა; 4 წლის განმავლობაში ბანკს ფულის პატრონებისათვის დიდი სარგებელი უნდა ეძლია, საიდგან? უეჭველია, ძირითად და სათადარიგო თანხიდან; როდესაც ეს შემოელიათ, სხვა ქალაქების ბანკების ფულით ინაცვლიდნენ ხოლმე დროებით ხელს, მაგრამ ესეც გამოელიათ. მაშინ ბანკის გამგეობა იძულებული გახდა, რაც ნაღდი თამასუქები ჰქონდა, სხვა ბანკებში დაეგირავებია; ამ თამასუქების გამცემთ, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ვექსილების გამოცვლას ანა და მხოლოდ ვალის მეათედის გადახდას, სხვა ბანკებმა ერთბაშად მოსთხოვეს ფული. ასტყდა აღიაქოთი. ამას ისიც მიემატა, რომ გამგეობამ 30—40 ვაჭრისგან უფულო თამასუქები ინათხოვრა იმ პირობით, რომ ვადაზე უნდა დაებრუნებია; ბანკმა ეს თამასუქებიც სხვაგან დააგირავა, მაგრამ ვადაზე დახსნა ვეღარ შესძლო; ვის ხელშიაც ვექსილები იყო, ვაჭრებს მიადგნენ. აბათ კიდევ უარესი ვაირილი მორთეს: „თქვენ ასეთებო, თქვენ ისეთებო,—ეუბნებოდნენ გამგეობას,—პატივი გეცით, ხელი მოგიმართეთ, თქვენ-კი მოგვატყუეთო".

ასე და ამ გვარად, დღე არ გასულა, რომ ბანკში ვაირილი და დანძღვა-გინება არ ყოფილიყო. ხმაურობა ბანკიდან ბაზარში გადავიდა, ბაზრიდან—სოფლებში. ბანკი თანდათან უფრო გაჭირვებაში ვარდებოდა, იყო შემთხვევა, რომ რამდენიმე თუმანის ჩეკი ანუ მოთხოვნილება გამგეობას ვერ დაეკმაყოფილებია.

ამ დროს აზოვ-დონის ბანკმაც ერთბაშად ასწია სარგებელი და ისეთის შემავიწროებელ პირობით იწყო ფულის გაცემა, რომ ვაჭრებისთვის ნამდვილი სახრჩობელა გამოდგა. შევიწროებულმა ხალხმა თავისი გაჭირვება ჩვენის ბანკის გამგეობას დააბრალა და იწყო განგაში: „რა გვიქნეს ამ კაცებმა, იმდენი ფული თითქმის პირს მისცეს ვითომც შავი-ქვის გირაოთი, მაგრამ სტყუიან, არც შავი-ქვა აქვთო".—„არც შავი-ქვა აქვთო"—ეს სიტყვები ელვასავით მოედო მთელს საზოგადოებას.

ყოველივე ეს მოხდა წარსულის წლის მაისის დამლევამდე, და ამ ხნის განმავლობაში ქუთაისის ინტელიგენცია, იმისდა სამარცხვინოდ, სრულიად არ ერეოდა საქმეში. ამიტომ მეტად უადგილო ცილისწამებაა, როცა ბ-ნი გოდ. გ ძე ამბობს, რომ ქუთაისის ინტელიგენციამ—უმთავრესად ზოგიერთმა ყმაწვილებმა—ზარალი გამოიწვიესო. ბანკს სახელი გაუტეხესო, ფულის პატრონები დააშინესო, დონოსები გაგზავნესო და სხვა.

ჩვენ ჩავერიეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი უკიდურეს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, როდესაც ფულის პატრონები დიდის ხნის შეშინებულნი იყვნენ, და ჩავერიეთ არა „სააგიტაციო მიზნით", არამედ ხალხის დასამშვიდებლად და ბანკის საშველად, რამდენადაც ეს ჩვენზე იყო დამოკიდებული.

როგორც იქნა, ივნისის დასაწყისში გავმართეთ კერძო კრებები, შევაწყვეტინეთ ვაჭრებს ახალ ბანკზე ლაპარაკი და ამოვარჩიეთ კომისია იმის გამოსარკვევად, შეიძლებოდა თუ არა და რა საშუალებით საქმის გამობრუნება. ამისთვის საჭირო შეიქნა ბანკის საქმეების გაცნობა; კომისია გაიყო სამ ჯგუ-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." 1904 წ. № 2713.

**) იხ. „ცნობ. ფურც." 1905 წ. № 2718.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 1 თებერვალს მოისმინა მოხსენება ტფილისის **საბაღოსნო სასწავლებლის** საპედაგოგიო საბჭოსი. ამ საბჭომ იშუამდგომლა, დაკმაყოფილებულ იქმნას ზოგიერთი მოთხოვნილება საბაღოსნო სკოლის მოსწავლეთა. მოსწავლენი, სხვათა შორის, ითხოულობენ ეგზამენები ოქტომბრის ნაცვლად აგვისტოში მოხდეს ხოლმე; აცხადებენ აგრეთვე, რომ სამშობლო ენაზე წერა-კითხვა არ ვიცით და უნდა გვასწავლოთო და სხვა. საზოგადოების საბჭო უმთავრესად შეეხო სამშობლო ენის სწავლების საქმეს. ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ წესდებით საბაღოსნო სასწავლებელი სპეციალური სასწავლებელია და რადგან საზოგადო განათლებას ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი, სამშობლო ენის სწავლებას სავალდებულოდ ვერ გავხდით, ხოლო შეიძლება წინადადება მიეცეს მოსწავლეებს, ვისაც სურვილი აქვს, ისწავლოს დედა-ენაზე წერა-კითხვაო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და გადასწყვიტა, აცნობოს მთავრობას, რომ სასწავლებელში სამშობლო ენის სწავლება საცდელად იქმნება შემოღებული. რაც შეეხება მოსწავლეთა სხვა მოთხოვნილებებს, მაგალითად, ეგზამენების დროს და სხვას, საბჭომ ყოველივე ამის გამორკვევა საპედაგოგიო საბჭოს დაავალა.

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 3 თებერვალს, სახაზინო თეატრში, **ბენეფისია არტისტის სვ. სვიმონიძისა**. მობენეფისეს საინტერესო პიესა აურჩევია, ჰერჰარტ ჰაუპტმანის ახალი დრამა „როზა ბერნდტი“. თითქმის ერთი თვეა ტფილისში ქართული წარმოდგენა არა ყოფილა [illegible] დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო.

◆ როგორც „ინვალიდ“-შია გამოცხადებული, შემდეგი **ქართველნი დაჭრილან უკანასკნელ ბრძოლის დროს მანჯურიაში**: პოდპორუჩიკები—ვლადიმერ თედორეს ძე ხომაშურიძე, ალექსანდრე ილიას ძე დიდებულიძე და ზაურიად-პრაპორშჩიკი მელეტი ილობერიძე.

◆ აგერ 10—12 წელიწადია, რაც დაიბეჭდა ცალკე წიგნად საინტერესო წერილები ი. გოგებაშვილისა. „**რანი ვიყავით გუშინ**“. მას აქეთ ეს წიგნები აწყვია საწყობში და ერთი ცალი არ გამოსულა გასასყიდად. გასაკვირველია, რად დაატუსაღა ავტორმა თავისი წიგნი, მით უფრო გასაკვირველია, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა ამგვარ წიგნების გავრცელება.

◆ 24 იანვარს, დილით სოფელ ჩოხატაურში ექვსი შეიარაღებული კაცი **თავს დასცემია** ადგილობრივ საფოსტო განყოფილებას. წაუღიათ 1,516 მანეთი.

◆ ტფილისის ქალაქის **სამრევლო სკოლების ზედამხედველად**, მღ. კალისტრატე ცინცაძის მაგიერად, საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭოს განკარგულებით დანიშნულ იქმნა სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიის წინამძღვარი მღ. გამრეკელი.

◆ ტფილისის ქალაქის მდივანმა ს. თ. ჭრელაშვილმა და ქალაქის გამგეობის წევრმა ტ. ს. ენფიაჯიანცმა მოხსენებანი გადასცეს ამას წინად ქალაქის გამგეობას. ბ-ნი ჭრელაშვილი საჭიროდ სცნობს ქალაქის განაპირა ადგილების შეძენას, დაგეგმვას და მსურველთა დასახლებას, ხოლო ენფიაჯიანცი—ქალაქის შუაგულ ადგილებში ცარიელ მიწების შეძენას კერძო პირთაგან ქალაქის თვითმართველობის საჭიროებათათვის, მაგალითად, საზოგადო შენობების ასაგებად და სხვა. ქალაქის გამგეობამ ორივე განცხადებანი განიხილა 1 თებერვალს, პრინციპიალურად მათი მიღება სცნო და დაადგინა, დაევალოს მომხსენებელთ ერთად გამოარკვიონ რაოდენობა და ადგილის მდებარეობა ყველა იმ კერძო პირთა მიწებისა, რომელთა შეძენაც სასურველია.

◆ როგორც ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის უფროსის ანგარიშიდგანა სჩანს, 1904 წლის დასასრულს საბაღოსნო სკოლაში სწავლობდა 56 კაცი. აქედან 28 სომეხი იყო, 20 ქართველი, 5 რუსი და 3 თათარი.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პირველ და მეორე სამკითხველოთა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდან „ტფილისის სობრანიეში“ 30 ოქტომბერს შემოვიდა: გაყიდულ ბილეთებიდან 417 მ. 10 კ., პრემია 22 მ. 26 კ. სულ 439 მ. 36 კ. დანახარჯი: „სობრანიეს ქირა 100 მ., დრამატიულ დასს 109 მ. ხაზინადარს 10 მ. ბილეთებისა, აფიშა-პროგრამების დაბეჭდვა, გაკვრა-დატარება 12 მ. 50 კ., მარკები 18 მ., მსახურს 3 მ. სულ 252 მ. 50 კ. დარჩა ორივე სამკითხველოს სასარგებლოთ 186 მ. 86 კ. წარმოდგენის გამგენი მადლობას სწირავენ პრემიის შემომწირველთ თავ. გ. ი. თუმანიშვილს და სხვებს.

◆ გვთხოვენ ქველმოქმედთა ყურადღება მივაქციოთ ღარიბ ადამიანის გაჭირვებას. ეს ადამიანი, ანნა მახარაშვილისა, სცხოვრობს მე-10 ნაწილში, გროზნის შესახვევში. მახარაშვილისას ორი ქალი ჰყავს.

◆ 31 იანვარს, საღამოს 8½ საათზე, მეტეხის აღმართზე გაქანებულ ეტლმა გასრისა ვიღაც უცნობი კაცი. ეტლი გაქცევას აპირებდა, მაგრამ მეზობლები დაეწივნენ და შეიპყრეს მეეტლე, ხოლო გატანილი კაცი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც იგი მალე გარდაიცვალა.

◆ როგორც ხაშურიდან გვატყობინებენ, 28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, როდესაც სააგარაკო მატარებელი დაძრულა, ვიღაცებს გარედან ორჯელ ზედი-ზედ უსროლიათ რევოლვერი პირველ კლასის ბუფეტში მყოფ სადგურის უფროსის ბელევიჩისთვის და სადგურის კასსირის ანჩაბაძისათვის, რომელნიც ზურგით მობრუნებულნი ტელეგრამას კითხულობდნენ. ტყვიები ამათ ასცდენია და ბუფეტის კედელს მოხვედრია.

◆ მკითხველებს ეხსომებათ საყვედური, რომლითაც მცხოვრებთ მიმართეს ტფილისის ქალაქის საბჭოს იმის გამო, რომ პოლიციამ აიძულა ქვაფენილების გადაკეთება და შეკეთება. სავალდებულო დადგენილებებში გარკვევით არ არის მოხსენებული, რა სივრცისა უნდა იყოს ქვაფენილი. ეხლა განსაკუთრებულმა კომისიამ შეიმუშავა ეს საკითხი. კომისიის დადგენილებით, როცა ქუჩა 7—8 საჟენის სიგანისაა, ქვაფენილი უნდა იყოს ოთხი არშინი, 6—7 საჟენის ქუჩაზე—3 არშინი, 5—6 საჟ. ქუჩაზე—2½ არშინი, 4—5—2 არშინს და 3—4 საჟენიან ქუჩაზედ—1½ არშინი. თუ ვინიცობაა ქალაქში გაიმართა 8 საჟენზე მეტის ან 3 საჟენზე ნაკლები ქუჩა, მაშინ გამგეობა ყოველს კერძო შემთხვევაში იქონიებს მსჯელობას, რა ზომისა უნდა იყოს ქვაფენილები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება ავჭალის წყლის მილის მოსამსახურეთა, რომელთაც სთხოვეს გამგეობას, რადგან ქალაქს დაშორებულნი ვართ, მატერიალური დახმარება აღმოგვიჩინეთ, რომ შვილები უსწავლელნი არ დაგვრჩესო. გამგეობამ დაადგინა, გადასდოს 30 მან. თვეში მასწავლებლის ჯამაგირად, რომელსაც წყლის მილის მოსამსახურენი მიიწვევენ თავიანთ შვილებისათვის ერთის წლით.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქუჩების მომკირწვლელ კომისიას, გაიყვანოს გზატკეცილი კახეთის მოედნიდან ნაგვის საყრელ ადგილამდე ნავთლუღში; დაავალოს ქალაქის მიწის მზომელს, აიღოს გეგმა ნავთლუღის აგარაკისა და აგრეთვე ქალაქის ყველა თავისუფალ ადგილებს შემოავლოს სამზღვარი, რომელზედაც მოსამზღვრე არხს გაიყვანს მიწების გამგე კომისია.

—

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ურიგდება სურათებიან დამატების № 287.

რუსეთის ქრონიკა

—

ლ. პანტელეევის წერილი სტატს-სეკრეტარ ა. ბეზობრაზოვისადმი. ბატონმა პანტელეევმა შემდეგი წერილი მისწერა სტატს-სეკრეტარ ბეზობრაზოვს, რომელსაც მეტად დიდ გავლენას აწერენ სასახლის წრეებში (ეს წერილი დაბეჭდილია ყველა რუსულ გაზეთებში):

გაზეთ «ცნობის ფურცელზე»

ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიჭრონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს **3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

„ერთი წელიწადია, რაც სწარმოებს თავის უბედურებით უმაგალითო ომი და ბოლო-კი არ სჩანს. მაგრამ არ არის ისეთი მსხვერპლი, რომ რუსის ხალხმა უკან დაიხიოს, არ არის საზღვარი იმ სულიერ სიძლიერისა, რომელიც შეუძლია გამოიჩინოს რუსის ხალხმა, როცა იცის, რომ იგი იცავს თავის კერას, მთელ თაობათა შრომის ნაღვაწს. განა ესეა ეხლანდელ ომიანობაში? რა იცის რუსეთმა, რისთვის იღვრება მის შვილების სისხლი, რისთვის იხარჯება მისი პატარა ქონება? ომის დასაწყისში მას ეუბნებოდნენ უშინაარსო მაღალ-მაღალ ფრაზებს რუსეთის ინტერესებზე შორე აღმოსავლეთში; ეხლა სცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ რუსეთის სახელი ითხოვს ომის განგრძობას სრულ დაუძლურებამდე. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი (რაც არ უნდა სთქვას ქვემძრომმა პრესსამ, რუსეთში არის საზოგადოებრივი აზრი) ვერ დამშვიდდება ასეთ ყოვლად უშინაარსო განმარტებით; იგი დაჟინებით თხოულობს გამოირკვეს და აიხსნას ის ბნელით მოსილი გარემოებანი, რომელთაც მიგვიყვანეს შორე-აღმოსავლეთის სისხლით მოცულ დრამამდე. საზოგადოების ხმა ამტკიცებს, რომ თქვენც დიდათ პასუხის მგებელი ხართ იმ ცრემლების გამო, რომელიც ეხლა იღვრება მთელს რუსეთში როგორც მოოქრულ სასახლეებში, ისე ღარიბთა ქოხებშიაც. და დღეს, ჩვენზე მოვლენილ განუზომელ უბედურების წლის თავზე, ყოველ რუსს უფლება აქვს მოგთხოვოთ ახადოთ ის ფარდა, რომელიც ჰფარავს შორე-აღმოსავლეთში არსებულ ჩვენ ინტერესების დიდ საიდუმლოს, და დაუფარავად მოგვითხრათ იმ კონცესიების ისტორია, რომლებთანაც დაკავშირებულია თქვენი სახელი. და თქვენ უთუოდ უნდა ჰქნათ ეს, თუ ერთი წვეთიც არის გაქვთ სამშობლოს წინაშე პასუხის გების გრძნობისა. თუ-კი გრინგმუტი და მეშჩერსკი ისტერიკამდე გაჰკივიან დღევანდელ ღალატსა და მოსყიდვაზე, ჩვენა გვსურს გავიგოთ იმათი სახელებიც, ვინც ბევრად ადრე თავისი პირადი ინტერესები ხალხის ინტერესებად გამოიყვანა და ასეთის სიადვილით გადაგვყარა უფსკრულში, რომელსაც გამოსავალი კარი არ უჩანს“.

გაფიცვა. მუშების გაფიცვამ იჩინა თავი რუსეთის იმპერიის ყოველ კუთხეში. გაფიცულან, სხვათა შორის, შაქრის 42 ქარხნის მუშები პოლონეთში. სასნოვიცის საფაბრიკო რაიონში 30 ათასი მუშაა გაფიცული. გაჩერებულია ფაბრიკები ზგერჟში, პაბიანიცაში და ჩენსტოხოვოში დომბროვის მადნის მუშებს დაუნგრევიათ სადგური სტრეემენოცი და შეუწყვეტიათ მატარებლების მიმოსვლა პრუსიის რკინის გზაზე. გაფიცვა ამ მხრის შემდეგ გუბერნიებშია გავრცელებული—პეტროკოვის, კალიშის, ლიუბლინისა და ვარშავისაში. ლოძსა და რადომში ქუჩაში მომხდარ არეულობის დროს ჯარს იარაღი უხმარია. სხვაგან 22 იანვრამდე მაინცა და მაინც დიდათ არ დარღვეულა წესიერება. (ვარშ. დნ.).

გაძლიერებული დაცვა. ამავე ოფიციალურ გაზეთის სიტყვით, გარდა ვარშავის და პეტროკოვის გუბერნიებისა, ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცებით, შემოიღო გაძლიერებულ დაცვის წესები კალიშის, რადომის და სედლეცის გუბერნიებში.

მოსწავლე ახალგაზდობის გაფიცვა. „ნოვოსტი დნია“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის და და სასულიერო აკადემიის სტუდენტები და მაღალ კურსების მსმენელი ქალები შეიკრიბნენ მთავრობის ნებართვით და დიდის უმრავლესობით დაადგინეს—ვიშუამდგომლოთ, რომ ლექციების კითხვას ნუ განაახლებენო. როგორც სხვა ცნობებიდან სჩანს, ლექციები შეწყვეტილია რუსეთის ყველა მაღალ სასწავლებლებში.

სინოდის განკარგულებანი. რადგან 19 თებერვალი შაბათი წელს ალების წინა დღეა, სინოდმა განკარგულება მოახდინა, რომ ამ შესანიშნავ დღის დღესასწაულობა გადატანილ იქნას 20 თებერვლისათვის.

„პეტერბურგის ეპარქიის უწყების“ ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია: პეტერბურგის საპატიმროს მღვდელი გიორგი გაპონი გადაყენებულია თავის თანამდებობისაგან ღვთის მსახურების აკრძალვით, სანამ არ გამოირკვევა მისი მონაწილეობის ხასიათი უკანასკნელ მოძრაობაში და 12 იანვრის გაფიცვაში.

პარაკლისები. სარატოვიდან სწერენ გაზეთებს: „19 იანვარს, საღამოს ლოცვის წინ, სარატოვის ეკლესიებში გადაიხადეს პარაკლისები „შინაურ მტრის განდევნასა და ხალხის მღელვარების დაწყნარებაზე“. მღვდლებმა წარმოსთქვეს ქადაგებანი როგორც იაპონიისა და ინგლისის ინტრიგებზე, ისე 18 მილიონზედაც. ამ მღვდლების ანგარიშით, სარატოვს ხვდა ამ ფულიდან 3000 მანეთი, რომ მუშას დღეში 30 კ. ჰქონებოდა. 20 იანვრის ღამეს ლიტანიები გაჰმართეს იმავ შინაურ მტრის განსადევნელად“.

როგორც ვიცით, დაიწყო თუ არა მუშების მოძრაობა, ხალხის მტრებმა გაავრცელეს ხმა უვიცთა მოსატყუებლად, რომ მთელი მღელვარება რუსეთის მტრების, ინგლისისა და იაპონიის, ფულისა და ინტრიგის ბრალი არისო.

იმავ 19 იანვარს ბორისოგლებსკის რკინის გზის მუშებს მოულოდნელად შეაწყვეტინეს მუშაობა და პარაკლისის მოსმენა უბრძანეს. ჯერ მუშებს ეგონათ, რომ პარაკლისი რუსის ჯარის გამარჯვების გამო იქმნებაო, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა აღმოჩნდა. მღვდელმა პეტრე ორლოვმა (სამრევლო სკოლების მეთვალყურე) პარაკლისის შემდეგ წარმოსთქვა მეტად ორიგინალური სიტყვა. ჯერ სინიდისიერად აასრულა უწმინდეს სინოდის მიერ მოწონებული პროგრამა—ილაპარაკა შორე-აღმოსავლეთის გაჭირვებაზე, ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებზე, რომელნიც ამდენ უსიამოვნობას აყენებენ რუსეთს შინ, პეტერბურგის არეულობაზე, და სხვაზე. მაგრამ დასასრულ სულიერმა მამამ შემდეგი მოულოდნელი წინადადება მისცა მუშებს:

„მართლმადიდებელო ქრისტიანენო! საგმირო საქმეს ჩაიდენთ, თუ გავცემთ ცრუ მასწავლებელთ (რევოლიუციონერებს). ამისათვის თქვენ მიიღებთ უწმინდესს სინოდისაგან ცოდვების სრულ პატიებას. თქვენ კარგად იცით, რომ უწმინდესი სინოდი შესდგება ეპისკოპოსების კრებულისაგან და რომ მას მოციქულ პეტრესაგან მინიჭებული აქვს უფლება ცოდვების პატიებისა. ძმანო! მომეცით სიტყვა, რომ გასცემთ მთავრობასთან თქვენ წამქეზებელთ. ასწიეთ ხელი და დაიფიცეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარზე, რომ უთუოდ გასცემთ თქვენ წამქეზებელთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯვარს არ მიგაკარებთ“.

არ გაუჭრია მამა ორლოვის მჭევრმეტყველებას, მუშებს არ შეუსმენიათ სულიერ მამის ეს მხურვალე ქადაგება.

პრესსა

—

27 იანვარს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. რუსული გაზეთები ამის გამო სავსეა წერილებით. მოგვყავს აქ „ნაში დნი“-ს აზრი:

> დღეს შესრულდა წელიწადი, რაც ომი დაიწყო. წელიწადია, რაც იქ, მანჯურიის ველზე და მთებზე იღვრება სისხლი ჩვენის ძმებისა,—მთელი ზღვა სისხლისა; წელიწადია, რაც აქ, რუსეთის სოფლებსა და ქალაქებში იღვრება ცრემლი ხალხისა,—მთელი ზღვა ცრემლებისა... ვინ ჩამოთვლის რამდენმა დალია სული ბრძოლის ველზე, რამდენი ჩანთქა ულმობელმა ზღვა-ოკეანემ? ვინ ჩამოთვლის, რამდენი დაბრუნდა და ბრუნდება დღესაც ომის ველიდან დასახიჩრებული?.. სად არიან ეხლა ჩვენი პორტ-არტური და დალნი,—ეს უძვირფასესი სათამაშოები, რომლითაც ამაყობდნენ ჩვენი პატრიოტები და რომელნიც მრავალ მილიონად დაუჯდა ჩვენს ხალხს?!. სადღაა ეხლა ჩვენი ძლიერი ფლოტი, რომელიც ასე იკვეხდა ყოველთვის და გვარწმუნებდა, უძლეველი ვარო?!.
>
> იყო ყველაფერი და აღარ არის; [illegible] ვითარცა სიზმარი... მართალია, მარტო ჩვენ-კი არ ვიზარალეთ: იზარალა იაპონიამაც, მაგრამ იაპონიამ იცის, რისთვის შესწირა ამდენი მსხვერპლი [illegible] და ჰხედავს კიდეც, რომ მსხვერპლმა ამაოდ არ ჩაუარა... ამიტომ დღეს იაპონიის დედაქალაქში დიადი დღესასწაულია გამართული. ამაყი, კმაყოფილი და თავისუფალი ხალხი მიდი-მოდის ლამაზად მორთულ და გაჩირაღდნებულ ქუჩებზე; მიკადოსა და იმის მრჩევლების პატივსაცემლად ხალხი სიხარულის ჰიმნებსა მღერის, რადგან იმათ მოახერხეს ომისთვის მომზადება და გამარჯვებაც. და იაპონიის სალდათიც, როცა კვდება სამშობლოსათვის, დარწმუნებულია, რომ იმის სახელს დღეს ლოცვითა და კურთხევით იხსენიებს მთელი ერი...
>
> ყველა ამის მაგიერ რას ვხედავთ დღეს აქ, რუსეთის დედა-ქალაქში, რუსეთში?!.
>
> როგორ მოვიქცეთ შემდეგში, რა გზას დავადგეთ? ერთნი ამბობენ, მშვიდობიანობაო, ამბობენ ზავი უნდა ჩამოვაგდოთო; მეორენი ამტკიცებენ, არა, უნდა ვიომოთ კიდევაო.
>
> ვინც ამბობს მშვიდობიანობაო, იმათ კარგად ესმით, რომ დღევანდელ მთავრობას არ შეუძლია მშვიდობიანობის დამყარება და რომ მხოლოდ ხალხი, რუსეთის ღირსების შეუბღალავად, შესძლებს იაპონიასთან მორიგებას,—შესძლებს, რადგან ადვილად დასთმობს იმას, რაც რუსეთისათვის საჭირო არ არის. მაგრამ ვინც ამბობს, ომი უნდა გაგრძელდესო, იმათ ვერ გაიგეს კიდევ, რომ გამარჯვებაც შეუძლებელია დღევანდელს პირობებში და რომ ომის გაგრძელებისათვისაც ხალხის წარმომადგენელების მოწვევაა საჭირო...

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა გაზეთები სასოწარკვეთილებითაა გამსჭვალული უბედურ ომის გამო. „ნოვ. ვრ.“-ც-კი აფრქვევს ცრემლებს...

საზღვარ-გარედ

—

გერმანია. „ნ. დ.“-ს ბერლინელი კორესპონდენტი აუწყებს გაზეთს, როგორ მიეგება ბერლინის საზოგადოება ამბებს პეტერბურგში 9 იანვარს მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ. ღამის ორ საათამდის ბერლინის უმთავრეს ქუჩებზე მრავლად ყიდულობდნენ განსაკუთრებით გამოცემულ დეპეშებს რუსეთში მომხდარ ამბების შესახებ. ბევრგან ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი. ზოგიერთები ხმა-მაღლა კითხულობდნენ დეპეშებს. ყველას დიდი განცვიფრება ეხატებოდა სახეზე. ხმა-მაღლა სჯიდნენ მომხდარ საშინელ ამბებზე. ბერლინის დიდი რესტორანები, სადაც საღამოობით მრავლად იკრიბება საზოგადოება, გაჭედილი იყო ხალხით. აქაც ყველა აღშფოთებული იყო. აქვე დამსწრე ბერლინში მცხოვრებ რუსებს მჭიდროდ გარს ერტყა ხალხი და ამბების განმარტებას სთხოვდა. ყველას პირზე ეწერა, ნუ თუ მართალს გადმოგვცემენ დეპეშები, ნუ თუ უნდა დავიჯეროთ, რომ მშვიდობიან, უიარაღო მრავალ ხალხს, ხელმწიფისათვის სამშვიდობო არზის მისართმევად წამოსულს, ჯარი მიესია და უწყალოდ ჰხოცდა, არა-მარტო მამა-კაცებს, არამედ ქალებსაცაო. მალე დამტკიცდა ამ ამბების სინამდვილე და, კორესპონდენტის სიტყვით, მას თავის დღეში არ ენახავს ბერლინი ასე აღშფოთებული. ყველამ წაიკითხა იმ არზის შინაარსი, რომელიც მუშებს ხელმწიფისათვის მისართმევად მიჰქონდათ. არზაში ცრემლების მომგვრელ და გულის ამაჩუყებელ სიტყვებით აწერილი იყო მუშების გაჭირვებული, უიმედო მდგომარეობა. მუშები თხოულობდნენ ხალხის წარმომადგენლების მოწვევას, სიტყვის, კრებების და კავშირების თავისუფლებას, თხოულობდნენ ადამიანურ უფლებებს... გაჭირვებულ, დამშეულ ხალხს ტყვიებით გასცეს პასუხი.

აქამდის გერმანიის ბურჟუაზია გულ-გრილად უცქეროდა რუსეთის ამბებს: მტკიცედ სწამდა, რომ რუსეთის მთავრობა გონივრულად მიეკიდებოდა საქმეს, შეიგნებდა დღევანდელ მომენტის, უადრეს საჭიროებას და სასურველ რეფორმებს მისცემდა ხალხს. გერმანელები ფიქრობდნენ, ამბობს კორესპონდენტი, რომ რუსეთის მთავრობა გაიხსენებდა გლეხების განთავისუფლების წინად წარმოთქმულ ალექსანდრე მე-II-ს საგულისხმიერო სიტყვებს: „სჯობს მაღლიდან მივცეთ ხალხს რეფორმები და არ მოვუცადოთ იმ დროს, როცა ხალხი ქვევიდან ძალით მოიპოვებს სასურველ რეფორმებსაო.“

გერმანელებს ეგონათ, რომ პლევეს სიკვდილის შემდეგ მოსტყდა რუსეთის ბიუროკრატიის ძლიერება, რომ რუსეთის მთავრობა ასცდებოდა ძალმომრეობის პრინციპს, რომელსაც ადგა განსვენებული შინაგან საქმეთა მინისტრი. ამიტომ 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარი ამბები მოულოდნელ ჭექა-ქუხილივით დაატყდა თავს გერმანელებს. ეხლა გერმანელები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთის მოხელეთა ბატონობის, ბიუროკრატიის დღეები დათვლილია. გერმანია მოელის რუსეთის განახლებას, ახალგაზდა რუსეთის აღორძინებას. გერმანელებს მტკიცეთ სჯერათ, რომ ბოლონდელი ამბები რუსეთის რევოლიუციონერთა ჯგუფებისაგან არ არის გამოწვეული. კარგად იციან, რომ ასეთ მძლავრ მოძრაობას ხალხის უიმედო მდგომარეობა, უკიდურესი გაჭირვება შექმნის ხოლმე.

ბერლინსა და პეტერბურგს გამოაქვეყნეს რუსეთ-გერმანიის შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობის უმთავრესი მუხლები. ახალ ხელშეკრულობას ძალა ექნება 1917 წლის დამლევამდის. გამოქვეყნებულ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რამდენად საზარალოა ახალი ხელშე-

---

ფად: ერთ მანდეს შავი-ქვის აჟერაციების შესწავლა, მეორეს—თამასუქებისა, მესამეს—დანარჩენ აჟერაციებისა. სამის კვირის განმავლობაში შეუწყვეტლად ვმუშაობდით, ივნისის დამლევს მოხსენებანი შევადგინეთ და შეერთებულ კომისიაში წავიკითხეთ. ბევრი ცუდი ხმა, რაც მანამდე ხალხში ტრიალებდა, არ გამართლდა, დაგირავებული შავი-ქვა თუ სულ არა, უმეტესი ნაწილი მაინც აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, გამოირკვა, რომ საქმის შველა შეიძლებოდა, იმ პირობით კი, რომ ძველი გამგეობა უსათუოდ უნდა გადამდგარიყო, რადგან საქმეების წარმოების უნარი სრულიად დაჰკარგოდა და სახელიც გატეხილი ჰქონდა, რაცა შეუწყნარებელია ისეთ სათუთ დაწესებულებაში, როგორც ურთიერთო კრედიტის ბანკია.

მაშინვე ბანკის საბჭოს თხოვნა წარვუდგინეთ, რომ საგანგებო კრება მოეწვიათ საქმის გაუმჯობესებაზე მოსალაპარაკებლად და, სხვათა შორის, არჩევნების მოსახდენადაც, მაგრამ ყურიც არ გაიპარტყუნეს, სანამ მთავრობისაგან არ მოუვიდათ ამის შესახებ ბრძანება. როდესაც ნოემბრის დამლევს მთავრობის რევიზიის დაბეჭდილი ანგარიში დაურიგდა ხალხს, ჩვენ ისევ კრებები გავმართეთ იმის სახსნელად, რომ მთავრობის მოწერილობაში დანიშნული ზარალი, 538 ათასი მანეთი, მეტად გაზვიადებული იყო, რომ ამისი არ შეჰშინებოდათ და ბანკი არ დაეხურათ. მართლაც, საგანგებო კრება მეტად გონიერად მოიქცა იმ მხრივ, რომ ზარალის დაფარვა იკისრა და ბანკს მხარი მისცა.—დღეს ბანკის საქმეები თანდათან უმჯობესდება.

ასეთი იყო ბანკის უკანასკნელ დროის ისტორია, რომლის ზოგიერთი ეპიზოდი ანუ ამბავი ასე უბად-ადებული შეიქნა. უეჭველია ამ ისტორიაში შუაგული ადგილი უჭირავს გამგეობას და იმაში—თავ. კირილე ლორთქიფანიძეს და თუმანიშვილს.

— ნახეთ, რა კაცები გამოდგნენ პროგრესიულ პარტიის საუკეთესო წარმომადგენელნი,—ნიშნს გვიგებს ბ-ნი იაკოვლევი „ტიფ. ლის.“-ში.

— პანამისტები, ავაზაკები ყოფილან,—სწერს ბ-ნი ქვრიანი „ივერიაში“.

— სისხლის სამართალში მიეცით, სისხლის სამართალში,—ჰყვიროდნენ ქუთაისის ვაჭრები საგანგებო კრებაზე 21 დეკემბერს.

ასეთი მკაცრი დაფასება არ არის სამართლიანი. ჯერ ერთი ის, რომ საურთიერთო ნდობის ბანკი მარტო ერთი ჯგუფის წარმომადგენლების ხელში არა ყოფილა, რადგან საბჭო-გამგეობაში მონაწილეობას იღებდნენ, მაგალითად, ბ-ნი მოშა ქუთათელაძე, დავით აბდუშელიშვილი, ალექსანდრე გამერელიძე, ლევან ქოქოზაშვილი, რომლებიც ერთ დროს სულ სხვა წრეში ირიცხებოდნენ. მერე გთხოვთ, გაიხსენოთ, რომ ბანკი 1880 წლიდან არსებობს; 1900 წლამდე, სანამ შავი-ქვის დაგირავება არ დაიწყეს, ე. ი. 20 წლის განმავლობაში ბანკის საქმეები ძალიან კარგად მიდიოდა: იაფი კრედიტი, კაი დივიდენდი, დიდი ნდობა,—მეტი რა უნდოდათ ბანკის წევრებს! მაშ, თუ ამდენის ხნის სამსახურში თავ. კირილე ლორთქიფანიძე და თუმანიშვილი პანამისტები არ იყვნენ, რადა ახლა, ამ მოხუცებულებაში, გახდნენ ასეთნი.

ხოლო არც ის არის მართალი, რასაც მეორე მხრიდან გაიძახიან. ბ-ნ გოდ. გ-ძეს ისე გამოჰყავს საქმე, თითქო ბანკის გამგენი ყოვლად შეუცდომელი პაპები ყოფილიყვნენ, და ბანკის შეფერხება კი—„ჩვენებურ ინტელიგენტების“ ბრალი უნდა ყოფილიყოს. ბ-ნ Z. სიტყვით, ზოგიერთი ინტელიგენტი იმისთვის გადავიდა ოპოზიციაში, რომ თვითონ უნდოდათ, საეჭვო ელემენტების დახმარებით, გამგეობის ადგილი დაეკავებინათო. *) შეიძლება, სხვის გულში ფათური ადვილი ხელობა იყოს, მაგრამ რამდენად სამართლიანია ასეთი სიტყვები, იქიდანა სჩანს, რომ არც ერთს ინტელიგენტს, წინად გამგეობის მომხრეს და ახლა ოპოზიციაში მყოფს, არავითარი ადგილი საურთიერთო ნდობის ბანკში არ დაუკავებია, და ვინც ამოვირჩიეთ, ისინი არც ოპოზიციაში ყოფილან, არც ადგილი სურვებიათ, და თუ დათანხმდნენ, მხოლოდ დიდი ხვეწნის და მუდარის შემდეგ.

სერ. ჯაფარიძე

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „Нов. Обозр.“ 1904 წ. № 44.

კრულობა რუსეთის სასოფლო მეურნეობისათვის. რუსეთის ისედაც გაღატაკებულ, დამშეულ გლეხობას ახალი ბიუროკრატიული ხელშეკრულობა ახალ აუტანელ ტვირთად დააწვება კისერზე. ხელშეკრულობის ძალით თითქმის გაორკეცებულია ბაჟი რუსეთიდან გერმანიაში გასატან პურზე. ოფიციალურ „ტორგ. პრომ. გაზ.“-ის გამოანგარიშებით, ეს ბაჟი $13\frac{1}{2}$ მილიონ მანეთ ზარალს მოუტანს ყოველ წელს რუსეთის მეურნეობას. გერმანიამ ასწია ბაჟი აგრეთვე რუსეთიდან გასაგზავნ ცხენებსა, ღორებსა და ფრინველებზე, რაიცა ყოველ წელს $1\frac{1}{2}$ მილიონ ზარალს მოუტანს რუსეთის გლეხობას.

როცა გერმანიის კანცლერმა გამოაცხადა რეიხსტაგში, გერმანიამ უნდა ასწიოს ბაჟი რუსეთის პურზეო, ოფიციალურმა „ტორგ. პრომ. გაზ.“-თმა ერთი განგაში ასტეხა: „გერმანიის სახელმწიფო კანცლერს ყალბი წარმოდგენა აქვს რუსეთზე. ჩვენი მთავრობა თავის დღეში არ დათანხმდება ამაზე, არ დაამცირებს რუსეთის მეურნეობას. რუსეთი დამოუკიდებელი და მძლავრი სახელმწიფოა. თუ გერმანია თავის კადნიერ განზრახვაზე ხელს არ აიღებს, ჩვენი მთავრობა სრულებით შეუკრავს გერმანიის ნაწარმოებს რუსეთის ბაზარსა და შეიძლება კიდევაც აუკრძალოს გერმანელებს რუსეთში ცხოვრებაო“. მთავრობის ოფიციალურ ორგანოს, „ტორგ. პრომ. გაზ.“-ის მთასავით აზვირთებულმა თავმომწონებამ ბოლოს და ბოლოს უძლურების თაგვი ჭამობაო, ამბობენ რუსეთის გაზეთები. ბიუროკრატიულ-წინოვნიკურმა წეს-წყობილებამ ნათლად დაანახვა ქვეყანას, რომ ბიუროკრატიას, კარდახშულ კაბინეტის შემომქმედებას, არ ძალუძს ხალხის ინტერესების მედგარი დაცვა, რადგან ხალხთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

* * *

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

2 თებერვალი

ტოკიო, 1 თებერვალი. ოფიციალურად. არტილერიის სროლაა 31 იანვრის აქეთ. იაპონელთა მარცხენა ფრთას აწუხებენ პატარ-პატარა იერიშები, მაგრამ რუსები ყველგან უკუ ვაქციეთ. ტოგო წავიდა გუშინ კურედან.

ტოკიო, 1 თებერვალი. რუსების ჯარის საზოგადო რიცხვი ოთხას ათასამდე აღის და ხარბინის სამხრეთით სდგას. ამ რიცხვიდან 270 ათასი წინ დგას ფრონტზე.

გაზეთი „კოკუმინ“-ი მთელ რიგობა სტატიებს უძღვნის ინგლის-იაპონელთა კავშირს და აღნიშნავს მის დაუფასებელ სამსახურს. ამ კავშირს დიდის პატივის ცემით იხსენიებს მთელი ქვეყანა, რადგან ააცდინა სახელმწიფოებს საზოგადო ომი. გაზეთი უარს ჰყოფს იმ ხმებს მითომ იაპონიას მიზეზი ჰქონდეს დაემდუროს ინგლისის ქცევას, არავის ეჭვი არ ჰქონდა იაპონიაში, რომ ინგლისი კეთილსვინიდისიანად შეასრულებდა ხელშეკრულობის ძალით ნაკისრს მოვალეობას და ჩვენც მეტს არას გამოველოდით ინგლისიდან, იაპონიას იმედი აქვს რომ კავშირი მომავალშიაც დიდს სამსახურს გაუწევს ორივე ერის კეთილდღეობას და მის ინტერესებს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 თებერვალი

სტამბოლი (საკუთ. კორესპ.). მაკედონიაში და მის საზღვრებისკენ ჰგზავნიან დიდძალ ჯარს, არტილერიას და საომარ მასალას. რკინის გზებას ღონდაგებს ჯარი იცავს.

არიოლი. არიოლში გარდაიცვალა ვაჭარი ალექსანდროვი, რომელსაც დარჩა უკანონო ცოლ-შვილი და 100.000 მან. ფული. მთელი ეს შეძლება ქალაქის სასარგებლოდ გადადის, რადგან ალექსანდროვს პირდაპირი მემკვიდრე არა ჰყავს. ალექსანდროვის უკანონო ცოლ-შვილმა ხელმწიფის სახელობაზე თხოვნა გაგზავნეს და ახლა კანცელარია იმპერატორის სასახლისა წინადადებას აძლევს არიოლის ქალაქის საბჭოს, უარი ჰყავით მაგ ქონებაზე და ალექსანდროვის ოჯახი დააკმაყოფილეთო.

პარიზი. როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ინგლისის პარლამენტის გუშინდელ კრებას ბევრი წევრი დაესწრო, რომელთაც ითათბირეს მაკედონიის საქმეების შესახებ. თავმჯდომარემ ლორდმა სტანჰოპმა განაცხადა, რომ მაკედონიის მდგომარეობა აუტანელიაო; დიდმა სახელმწიფოებმა ამ უსამართლობას ბოლო უნდა მოუღონო.

ბერლინი, 1 თებერვალი. აბისინიაში გაგზავნილი გერმანიის დიპლომატიური მისია შაბათს მოვიდა ადის-აბებუში და მიღებულ იქმნა სასახლეში, სადაც მენელიკმა მიიღო ელჩები. მისია დაჰყოფს ადის-აბებუში სამ კვირას და ლაპარაკს აძრავს სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ. ჰფიქრობენ აგრეთვე აქ გერმანიის საელჩო დააწესონ.

ვენა. კოშუტთან ბაასის დროს იმპერატორმა განაცხადა, ვერ დავთანხმდები, რომ ნება მაეცეთ ჯარში უნგართა ენა შემოიღონო. თუმცა-კი უნგრეთის მინისტრის ბრძანებით უნგართა ენას თავისუფლება მიეცა ჯარში და ერთმანერთთან მიწერ-მოწერა ამ ენაზე სწარმოებს. ამ მოკლე ხანში იმპერატორის მოსვლას ბუდაპეშტში მოელიან და ეს მოსვლა დააჩქარებს კრიზისის გათავებას.

2 თებერვალი

ლონდონი, 1 თებერვალი. მეფის ედუარდის სიტყვა: ურთიერთობა გარეშე სახელმწიფოებთან ისევ მეგობრული გვაქვს. ომი რუსეთსა და იაპონიას შორის სამწუხაროდ ჯერ კიდევ სწარმოობს. ჩემი მთავრობა დიდად ცდილობდა, რაც შეიძლება სასტიკად დაეცვა ნეიტრალ სახელმწიფოთა ვალდებულებანი. ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე საქმის მდგომარეობა ისევ სამწუხაროა. იმ ზომებმა რომელიც ავსტრიის და რუსეთის სახელმწიფოებმა მიიღეს ბალკანეთში, საქმე ცოტა გააუმჯობესეს, მეტადრე ჟანდარმერიის შეცვლის საქმეში. მაგრამ მეტი ზომებია უეჭველად საჭირო და მეტადრე რადიკალური რეფორმები უნდა მოხდეს ფინანსიურ სისტემაში. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ რუსეთის და ავსტრიის მთავრობა ამ კითხვასაც შეეხო და ამას წინედ წარუდგინა კიდეც პორტას თავის წინადადება ფინანსების შესახებ. საფრანგეთთან შეთანხმება იმაზე, რომ ყველა სადავო საქმეები რაც ამ ორ სახელმწიფოს ინტერესებს შეეხება მშვიდობიან მორიგებით გადაწყდეს ხოლმე, უეჭველია სარგებლობას მოუტანს ორივე ერს. სამედიატორო ხელშეკრულებანი გვაქვს შვეციასთან, ნორვეგიასთან, პორტუგალიასთან და შვეიცარიასთან. ჩემი მთავრობა რუსეთთანაც შეთანხმდა, რომლის ძალითაც დანიშნულია გააგის კონფერენციის დადგენილებით საერთა შორისო საგამომძიებლო კამისია. ამ კამისიას მინდობილი ჰქონდა გამოეკვლია გარემოება რომლის გამოც ჩრდილოეთის ზღვაში უბედურება შეემთხვათ ბრიტანელთა მეთევზეებს რუსის ფლოტისაგან. კამისია აგრეთვე დაადგენს რა ზომამდე უნდა პასუხი აგონ ამ უბედურ შემთხვევის გამო. 26 აგვისტოს ახასეში ტიბეტის მთავრობასთან ხელშეკრულობა დავსდეთ, რომელსაც მიზნად აქვს ტიბეტის და ინდოეთის მთავრობათა შორის ურთიერთობა გააუმჯობესოს. ჩინეთის მთავრობამ კალკუტაში გამოგზავნა თავის წარმომადგენელი მოსალაპარაკებლად, რომელსაც აზრად აქვს იითონაც მიემხროს ჩვენს ტიბეტთან ხელშეკრულობას. ავღანის ემირმა თავის შვილი ინაიატულა გამოგზავნა ინდოეთში მეფის მოადგილესთან სალაპარაკოდ, ინდოეთის მთავრობისა ერთი უმაღლესი ხარისხის პირი გაგზავნილია ქაბულში იმ მიზნით, რომ ემირთან ერთად ითათბიროს ზოგიერთ კითხვების შესახებ, რომელთაც ორივე მთავრობის ურთიერთობა უნდა გააუმჯობესონ.

ლონდონი, 1 თებერვალი. ოპოზიციის წინამძღოლთ გამოუცხადეს მთავრობას, რომ ჩვენ განზრახვა გვაქვს მივმართოთ დეპუტატთა პალატას პარლამენტის დათხოვნის შესახებ, რათა ჩემბერლენის მიერ აღძრული კითხვა შესახებ ხარჯების გაწერისა, ხალხმა გადასწყვიტოსო.

ბალფურმა საზოგადოთა პალატაში განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა ტიბეტს ეხლაც საზრიანად ექცევა ავღანის ემირთან მოლაპარაკება ჩქარა ჩვენდა სასარგებლოდ გათავდება, ჩვენს მთავრობას დიდად სურს ავღანისტანის მეგობრობა, როგორც მეზობლისა, რომელსაც უჭირავს ქვეყანა ინდოეთის და უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოს შორის. ემირის მეგობრობას დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთისათვის, მაგრამ თვით ინდოეთის ინტერესებს მთავრობისთვის უფრო დიდი ფასი აქვს.

ნიუ-იორკი. 1 თებერვალი. პრეზიდენტის ნიუ-იორკში ყოფნის დროს არა ჩვეულებრივი ზომებია მიღებული მის დასაცველად, შეკრულია ყველა ქუჩები იმ მიდამოსი სადაც პრეზიდენტი სადილობს. მცხოვრებთ არც კი ეძლევათ ნება სახლიდან გამოვიდნენ და პოლიციის წრე გაარღვიონ. აღკრძალულია ფოტოგრაფიის აღებაც. ახალ აჯანყებას ვენეცუელაში უეჭველად მოელიან, კიურასოდან მიღებული ტელეგრამები იუწყებიან, რომ პრეზიდენტას კასტროს წინაამდეგ აჯანყებულად, მომზადება უკვე გათავეს. რევოლიუციონერთა აგენტი უკვე წამოვიდა კიურასაოდან ნიუ-იორკში, დიდძალი თოფ-იარაღი და საბრძოლი მასალა იყიდეს შეერთებულ შტატებში.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დღის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „

2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „

3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

კავკასიის ოლქის საინტენდანტო მმართველობა ამით იწვევს მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, გლეხთა და ეგრეთვე მამულების მოიჯარეთა ჩააბარონ ხოლმე საინტენდანტო დაწესებულებას ხორბალი, ქვავი (მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში), ფქვილი, ქერისა და ხორბლის ბურღული (კრუპა), ბრინჯი და ქერი, თავიანთი, ანუ საიჯარო მამულის მოსავლისა. ხსენებული ნაწარმოები თვითეული პირისაგან მიიღება არა ნაკლებ ასი ფუთისა, იმ პირობით, რომ იგი სურსათი მათგან ჩაბარებულ იქმნას რკინის გზის სადგურებზე ანუ საინტენდანტო სურსათის მაღაზიებში, როგორც მემამულენი მოისურვებენ, იმ წესების მიხედვით, რა წესებიც სამხედრო უწყებისაგან სურსათისა და ცხენების საკვებ საგნების ყიდვისთვის არის დამტკიცებული. ამ წესების გაცნობა შეიძლება ოლქის საინტენდანტო მმართველობაში, ტფილისში, და ეგრეთვე სურსათის მაღაზიების გამგეებთანაც.

ვისაც ხსენებულ სასურსათო საგნების ჩაბარება ჰსურს, იმან უნდა შემოიტანოს ანუ გამოგზავნოს ამაზე წერილობითი უწყება ოლქის საინტენდანტო მმართველობაში ანუ მახლობელ მაღაზიის გამგესთან; ამ უწყებას ზედ უნდა დაურთოს ორი სამ-აბაზიანი გერბის მარკა. უწყებაში უნდა იყოს ნაჩვენები:

წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მემამულესი, მამულისა და მაზრის სახელი და მისამართი ბინა, პასუხი სად უნდა გაეგზავნოს, ჩასაბარებლად განზრახული ნაწარმოების რაოდენობა, იმისი თვისება (რა წყვილსას რა წონა აქვს, რამდენ სინესტეს იპყრობს და გარეშე ნივთიერება, ხარჯი, რამდენი ნაასალი ურევია), თვითო ფუთის ფასი, რომელ რკინის გზის სადგურზე ანუ სურსათის ალაზიაში ჰსურს ჩაბარება, სად უნდა მიუტანონ სახელმწიფო ტომრები (მეშოკები), რა ვადაზე ჩააბარებს ნაწარმოებს და რა ვადისთვის უნდა რომ ტომრები ჩაიბაროს; აგრეთვე ნაჩვენები უნდა იყოს ჩაბარებულ ნაწარმოებში სად და ვის სახელზე ჰსურს მიიღოს ფული.

ამ უწყებას უნდა ჰქონდეს თან დართული მაზრის უფროსისა ანუ სოფლის უფროსი მოხელის მოწმობა, რომ უწყების შემომტანისაგან ჩასაბარებლად განზრახული სურსათი ნამდვილად იმის საკუთარი ანუ საიჯარო მამულის მოსავალია.

თუ მემამულეთ სურსათის თვისების განსაზღვრა, ანუ მისი ჩაბარების რამე გარემოების გაგება გაუჭირდათ, მათ გამოსარკვევად იმათ შეუძლიანთ მიჰმართონ სურსათის მაღაზიის გამგეთ, ანუ სხვა საინტენდანტო მოხელეთა. (3—2)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ.სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—14)

აფხანაურის ამერიკულ ვაზის სანერგე

მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკული ვაზები Riparia და Rupestris, აგრეთვე დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები.

ადრესი: **„Ст. Ріонъ З. Ж. Д“.** მიხრან ალექსანდრეს ძე **ანანოვს.** (12—395—7)



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანის ახლოს. (წ.—176—104)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—ზ.—31) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კანტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფალს;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ქნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** გმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23 **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ. ოჰოევის ეახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—100)

იძლევა ქირით

მაღაზიები მოხერხებულ ადგილას, სახლი კუთხისაა, ავჭალის ქუჩაზე, იმ ხიდის პირდა-პირ, რომელიც რკინის გზაზე გადადის და ნაძალადევისაკენ მიდის. იკითხეთ სახლის პატრონი ა. ბოტე. (4—2)

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქროვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ, ოლეველეპს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (6.—20—20)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაძე.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო, მოთხრობა—შელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	.20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	—	1

აფთიაქის მაღაზია ყვირილაში

ა. ლ. მაღრაძისა.

1904 წლის პირველი დეკემბრიდან დაბა **ყვირილაში** გაიხსნა **აფთიაქის მაღაზია,** სადაც იყიდება ყოველგვარი წამლები და კოსმეტიური საქონელი.

ადრესი: დაბა ყვირილა. აფთიაქის **მაღაზიაში** ანთიმოზ ლუკასძე მაღრაძეს.

Адресъ: Въ Квирилы. Аптекарскій магазинъ Антимосу Лукичу Маградзе.

(10—413—10)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, **სომხურს** და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ცინკოგრაფია

წიგნებ გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Доз. цен. Тифлисъ, 2 февраль 1905 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.